წლიწადი მესამე
ფასი 7 კაპ.
ოთხშაბათი, 25 იანვარი, 1917 წ. № 19

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში. ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი [illegible] გვერდზე პეტიტის [illegible] უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:

მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით—9 მან., სამის თვით—5 მან., ერთის თვით—1 მ. 80 კაპ. ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იქნება.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მან.; პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76)
კანტორა ღიაა: დილით—9-ან—3 საათამდე, საღამოს—5-ან—7 საათამდე.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

დილის წარმოდგენა
ახალ კლუბის შენობაში
წარმოდგენა
ი. ზარდალიშვილისა.
კვირას, 29 იანვარს ვ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
კაიუს-გრაკხუს
ტრაგ. 5 მოქ. მონტისა.
კაიუსის როლს შეასრულებს ი. ზარდალიშვილი.
ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია ◆ დასაწყისი დილის 12 ს.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში. რეჟისორი ⁂
(5—532—1)

ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა
კავშირის
კანტორა გადავიდა ახალ ბინაზე კრილოვის ქუჩა № 10

კავშირმა მიიღო: ლობიო, სისირი, მაკარონი.

საწყობში არის: ასანთი, ჩაი ძველ ფასებში; ბრინჯი აქულის, ხანის, ერევნის. შესახვევი ქაღალდი ყველანაირი.

კავშირმა გაგზავნა კაცი სიმინდის შესაძენათ. ვთხოვთ მომხ. საზ. შეგვატყობინონ: სად, რამდენი და როგორი სიმინდი სჭირიათ.
(2—530—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
ოთხშაბათს, 25 იანვარს,
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
ბაიყუში
კომედია 2 მოქ. ცაგარლისა.
სტუმრები საზოგადო წესით. ◆ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
(1—534—1)

იყიდება
წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიებში **თბილისში** და **სიღნაღში**, მთავრიშვილის და ოცხელის წიგნის მაღაზიებში **ქუთაისში** და **ფოთში** ვლ. მალ. ჯაფარიძესთან, **სოხუმში** ვ. შ. ჭყონიასთან
ილია ჭყონიას ნაწერები
ფასი ერთი მანეთი.

ამ წიგნზე აკაკი სწერდა გაზეთ „თემში“ (1913 წ. № 138, გვ. 2)... „ამ წიგნში ნახევარი ლექსებია და ნახევარი პროზა... კითხულობ ლექსებს და მოგწონს; აქ ენაც კარგია, ლექსთა წყობაც და აზრიც. გრძნობაც არის და გონებაც. ხედავ, რომ დამწერი ჭკვიანიც არის და ნიჭიერიც...

...„გადადიხარ პროზაზე და აღარ იცი რაღა სთქვა? პოეტურად ჩამოსხმული მარგალიტებია. ეს პატარა მოთხრობები სულსა და გულს ხვდება!.. რამდენიმეჯერ გინდა, რომ წაიკითხო, ერთხელ წაკითხვა არ კმარა!.. როგორც გრილი სიო მხურვალე ზაფხულის დღეს, ისე ხვდებიან ეს პატარ-პატარა მოთხრობები ქართველის გრძნობა-გონებას“...
(1—533—1)

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზელინსკის ქ. № 4. (თ—202—)

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმი
[illegible]. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმმა
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა **მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ქ. თბილისი. 2 თებერვალი 1917 წ.
საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზი.
„ცისფერი ყანწები“
დიდი მხატვრული საღამო—ახალ ხელოვნებისა
I. **პაოლო იაშვილი**
წარმოსთქვამს:
„ცისფერი ყანწები—ჩვენი ახალი აღთქმა“
II. **ვალერიან გაფრინდაშვილის**
სიტყვა:
სტეფან მალარმე—თეთრი ოცნება.
III. **ლექსთა თქმა.**
1. **ვალერიან გაფრინდაშვილი:** „ძაღლის სიმღერა“, „სხვანაირი ტრფობა“, „მისტიური მარული“, „არლანი“ და სხვ.
3. **პაოლო იაშვილი:** „წითელი ხარი“, ფარშავანგები ქალაქში“, „ქლექიანი მისალმება ზამთარს“, „სონეტი ორსართულიანი“, სონეტი საქართველოს“ და სხვ.
4. **ნიკოლოზ ნადირაძე:** ლექსები წიგნიდან—„ავზნიანი ქალაქი“.
5. **არ. ჭუმბაძე:** „ლირიკული პოემები“.
6. **გრ. ჯაფარი:** „თეთრი ლექსები“.
7. **ლელი ჯაფარიძე:** „წამების ქმარი“, „დღესასწაულზედ“, „თეთრ ქუჩებში“, „ორსული მზე“, ლექსები რკალიდან: „ტრიოლი მთვარისთვის“, „ჩემი დაბადება“ და სხვ.

IV.
ბოდლერის, ვერლენის, მალარმეს, რემბოს, როლინის, კორბიერის, ვერჰარნის, უაილდის, ბალმონტის, ბლოკის, ანდრეი ბელლის ლექსთა საკუთარ თარგმანებს და გრ. რობაქიძის, ტიტე ტაბიძის, ელენე დარიანის ლექსებს წარმოსთქვამენ:
ვალ. გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ნიკოლოზ ნადირაძე, გრ. ჯაფარი, ლელი ჯაფარიძე.
საღამო გაიხსნება 8 საათსა და 10 წუთზე.
ბილეთები 1 მან.—6 მან. იყიდება ქართულ სახაიეში.

ომი და ამერიკა

შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვილსონი ფხიზელი ერის შვილია და პრაქტიკულ საუკუნეში სცხოვრობს, მაგრამ, როგორც სჩანს, უკურნებელი იდეალიზმითაა გამსჭვალული. ამ უმაგალითო შეხლა-შემოხლისა და სისხლისღვრის დროს საყოველთაო მშვიდობიანობისთვის ოცნებობს, ამ მშვიდობიანობის მისაღწევად მსოფლიო ფედერაციის დაარსებას ჰფიქრობს.

ჩვენს მკითხველს ეხსომება, რომ პრეზიდენტმა ვილსონმა ამ ორიოდე კვირის წინად შეერთებული შტატების სენატს საგანგებო სიტყვით მიჰმართა და შემდეგ ეს სიტყვა მებრძოლ სახელმწიფოებს დაუგზავნა ყურადსაღებად თუ სახელმძღვანელოდ. ვილსონის განცხადების დედა-აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მომავალი ომების თავიდან ასაცილებლად ერთგვარი საერთაშორისო კავშირი უნდა დაარსებულიყო. ამ კავშირის შემადგენელ სახელმწიფოებს ომის გამოცხადების უფლება უნდა წართმეოდა. შესაძლებელი კონფლიქტები უზენაესი მსოფლიო სამსჯავროს წინაშე უნდა გარჩეულიყო.

შეიძლება თუ არა მსოფლიო ფედერაციის დაარსება და შეუძლია თუ არა მსოფლიო ფედერაციას ომის მოსპობა? თვით შეერთებული შტატების წარსული და აწმყო საყურადღებო ფაქტებს შეიცავს ამ საკითხების გარდასაწყვეტად. ერთს საუკუნეზე მეტია რაც ეს ფედერატიული სახელმწიფო არსებობს, მაგრამ ერთა თანამშრომლობის პრინციპი ჯერ კიდევ საკუთარ ტერიტორიაზეც კი ვერ განუხორციელებია. ყვითელკანიანებსა და შავკანიანებს ისე არსად სდევნიან, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. უფლებრივი თანასწორობა მხოლოდ იდეაში არსებობს: ფაქტიურად ათი მილიონი ჩრდილო-ამერიკელი ზანგი მეორე ხარისხოვან მოქალაქეებად ითვლებიან: ზნეობრივი კედელი, რომელიც თეთრკანიანსა და შავკანიანს ჰყოფს, უფრო გარდაუვალია, ვიდრე ის გეტტო, რომელიც საშუალო საუკუნეებში ებრაელებს ანცალკევებდა. ისე წელიწადი არ გავა, რომ შეერთებულ შტატებში ხალხმა რამდენიმე შავკანიანი დამნაშავე ლინჩის სამართლით არ დასაჯოს.

როგორ შეიძლება საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობიანობის დამყარება, თუ თანამშრომლობა და მშვიდობიანობა არ მყარდება ორ მეზობელ ტომს შორის, რომელნიც ერთს მიწა-წყალზე სცხოვრობენ საუკუნეთა განმავლობაში? სხვაგან, დედამიწის ზურგზე, ტომობრივი და კულტურული წინააღმდეგობა კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე ჩრდილო-ამერიკაში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ, თუ ოდესმე მსოფლიო ფედერაცია განხორციელდა, უმრავლესობა ნაკლებ კულტუროსანი, ფერად კანიანი ტომების მხარეზე იქნება.

ფედერატიულ სახელმწიფოს არ ძალუძს ომის თავიდან აცილება. თავის ხანმოკლე არსებობის განმავლობაში ჩრდილო-ამერიკის შტატებმა რავდენიმე სისხლისმღვრელი ბრძოლა აწარმოვა. ამ მხრივ ის ოდნავაც არ განსხვავდება დანარჩენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან. საყურადღებო მხოლოდ ის არის, რომ გარეშე ომებს გარდა, შეერთებულ შტატებს შინაგანი სამოქალაქო ბრძოლაც ჰქონია: ეს იყო ეგრედ წოდებული „განკერძოების ომი“, რომელიც მესამოცე წლების დასაწყისში ასტყდა სამხრეთ და ჩრდილოეთ შტატებს შორის და თითქმის ოთხ წელიწადზე მეტს გასტანა.

ამ ისტორიულ მოგონებებს ცოტა არ იყოს ფრთა უნდა შეეკვეცნა პრეზიდენტ ვილსონის კეთილშობილ ოცნებისათვის. თუ ეს ასე არ მოხდა, ეს ალბად იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ ადამიანს წინასწარ შეთვისებული დოქტრინა ცოცხალ სინამდვილის შეგნებას უხლუნგებს. ახლა ვილსონის გამოფხიზლება გერმანელთა წყალქვეშა ნავებმა იკისრეს. გერმანელების მიერ გამოცხადებულმა ბლოკადამ ამერიკელი ხალხისა და მთავრობის სულიერი მშვიდობიანობა შეარყია. ეს არ არის გასაკვირალი. ოთხთა შეთანხმების უდიდესი სამხედრო მწარმოებელი დღეს დღეობით შეერთებული შტატებია და მის ეკონომიურ ცხოვრებას დიდი კრიზისი მოელის, თუ ევროპისკენ მომავალი საალებმიცემო გზები გადაიჭრა ან გადაიჩიხა. ულმობელი გერმანელი მეკობრეები საფრთხეს უმზადებენ ამერიკელი სოვდაგრების ჯიბეს და ამერიკელი მეზღვაურების სიცოცხლეს. და დიდი რესპუბლიკა იძულებული ხდება ან დაემორჩილოს გერმანეთის მიერ ნაკარნახევ ბლოკადის წესრიგს ან ომი გამოუცხადოს ცენტრალურ კავშირს.

ამგვარად ამერიკა საერთაშორისო კონფლიქტში ებმება თავისი პაციფიური მიდრეკილების მიუხედავად. შესაძლებელია რომ შეერთებულ შტატებისა და გერმანეთის წინააღმდეგობა დიპლომატიური გზით გადასწყდეს და აშკარა შეჯახებაში არ გადავიდეს. ვილსონის უკანასკნელი სიტყვა ნიადაგს იძლევა ასეთი იმედისათვის. მაგრამ ძლიერ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ომის აჩრდილი მიადგა „შუქურ ვარსკვლავის“ ქვეყანასაც, საიდანაც ბოლო დროს მხოლოდ შერიგებისა და მშვიდობიანობის სიტყვები ისმოდა.

ვ. ლელიანი.

ადგილობრივი პრესა

„ზაკავკაზსკაია რეჩი“-ს გუშინდელ ნომერში მოთავსებულია უცნაური წერილი კ. პ. თუმანიშვილისა: „ქართველობა და კავკასიის მაჰმადიანები“. ავტორი ეხება ქართველ-თათართა შორის ატეხილ კამათს და სხვათა შორის სწერს: „ჩვენ შორსა ვართ იმ აზრზე, რომ შეცდომა მარტო თათრულ პრესას მოსდიოდეს გულახდილად უნდა განვაცხადოთ, რომ შეცდომები მოსდის აგრეთვე ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც, რომელნიც, ამ ომიანობის დროს იძულებულნი გახდნენ თავიანთი მოქმედება იქ გაეჩაღებინათ, სადაც ადრე ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ოფიციალად შესვლა-მოქმედება აღკვეთილი ჰქონდათ“.

ატეხილ კამათს ავტორი მიაწერს კერძო პოლიტიკანებს, გამოსთქვამს სურვილს, რომ ეს გაუგებრობა გაიფანტება საერთო კეთილგონიერების შეწყობით და განაგრძობს:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას საგანმანათლებლო მოღვაწეობა მაჰმადიან ქართველთა მოსახლეობის ფარგალში სრულებით არ შეეფერება დღევანდელ მომენტის ვითარებასო. ვიდრე ომის ქექა-ქუხილი არ ჩადგება და მცხოვრებთ ლუკმა პური ესაჭიროება, არა გვგონია, მიზან შეხამებული იყოს, ამ ხალხთან. კაცი ნაჭერი პურით კი არ მოვიდეს, არამედ სკოლით და წერა-კითხვითაო“...

არ ვიცით, რომელ იძულებაზედ ლაპარაკობს ბ-ნი თუმანიშვილი. იძულებაა, თუ ჩვენი შეგნებული ეროვნული მოვალეობა, რომ მაჰმადიან ქართველებში ქართულმა ორგანიზაციებმა სათანადოდ იმოღვაწეონ? ჩვენში რომ შეგნება ყოფილიყო, ომამდე უნდა მივსულიყვით ჩვენს მაჰმადიან ძმებთან და მათთან ერთად გვემუშავნა. თუ წერილის ავტორი იქ მხოლოდ იძულებამ შეიყვანა და არა სხვა უფრო მაღალმა შეგნებამ, მას მართლაც უფლება აქვს ასეთი აჩირებული წერილი დასწეროს. ხოლო ქართველი საზოგადოება და ქართული ორგანიზაციები ეროვნულის რწმენითა და შეგნებით შევიდნენ სამაჰმადიანო საქართველოში.

ბ-მა თუმანიშვილმა იცის, რომ ქართველი საზოგადოება, შეძლების ფარგალში, პურითაც მიეშველა მაჰმადიან ქართველებს და სხვა საჭირო საგნებითაც; კარგად იცის, რომ მაჰმადიანი ქართველობის გამოკვების საკითხი იყო და არის ჩვენი მთავარი საზრუნავი, მაგრამ მაინც ისე სწერს, თითქოს ეს ასე არ იყოს. და დღეს, როდესაც რუსის ჯარი შუაგულ სპარსეთ-ოსმალეთამდე შეიჭრა და მის ზურგს უკან მშვიდობიანი მოქალაქობრივი ცხოვრება დამყარდა და ყველამ კულტურულ საქმიანობას ხელი მიჰყო, ბ-ნი თუმანიშვილი გადმომდგარა და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მოქმედებას უწუნებს, რა დროის სკოლების გახსნაა მაჰმადიან ქართველებ შორისო! რას ნიშნავს ეს?

ბ-ნმა თუმანიშვილმა კარგად იცის, თუ რაგვარის სიფრთხილით და მოწიწებით ეკიდება მთელი ქართველი საზოგადოება ჩვენ მაჰმადიან ძმების რელიგიას, მაგრამ მაინც ისე სწერს, თითქოს ქართულ ორგანიზაციების მუშაობას ამ მხრივ რაიმე უსიამოვნების გამოწვევა შეეძლოს, და ამიტომ გვირჩევს ხელი ავიღოთ საგანმანათლებლო მოღვაწეობაზედ. რად დასჭირდა ყოველივე ეს? ამ საფასურით მეგობრობის დაცვა მხოლოდ იმას მოუვა თავში, ვინც „იძულებით“ მიდის თვის მაჰმადიან ძმებთან ეროვნულ საქმის გასაკეთებლად!

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

რაკი ბრძოლის ველზე მოქმედება დაცხრა, ახლა ევროპის ყურადღებას იპყრობს ორი უმაღლითო აქტი: გერმანეთის მიერ წყალქვეშა ნავებით ბლოკადის გამოცხადება და გერმანელთ და ამერიკელთა დამოკიდებულების გამწვავება. დიპლომატიურ დამოკიდებულების შეწყვეტა ამ ორ პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთა შორის ბლოკადის გამოცხადების შედეგია. ამერიკის პრეზიდენტი თავის სიტყვაში პირდაპირ აღიარებს, რომ მას გერმანიასთან ომი არა სურს, პირიქით, ორივე სახელმწიფო ყოველთვის გულწრფელ მეგობრულ დამოკიდებულების განმტკიცებას ლამობს და თუ მან ასეთ უკიდურეს ზომებს მიჰმართა, მხოლოდ ერთის მოსაზრებით—აიძულოს გერმანეთის მთავრობა წინასწარი ხელშეკრულობა წყალქვეშა ნავების თარეშის შესახებ მტკიცედ დაიცვას და მით უზრუნველ ჰყოს ამერიკელთა თავისუფალი მიმოსვლა. საინტერესოა როგორ შეხვდება გერმანეთი ასეთ მოთხოვნას. მიიღებს იგი ამ მოთხოვნას და უკან წაიღებს თავის უკანასკნელ ნოტაში გამოთქმულ მუქარას, თუ წყალქვეშა ნავებით ბრძოლას, როგორც ჰპირდება ევროპას, წარმოუდგენელის სისასტიკით აწარმოებს. ომი ამერიკასა და გერმანეთს შორის აუცილებელი იქნება მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში. რომ გერმანეთი თავის განზრახვაზე ხელს არ აიღებს, ამტკიცებს ის ცნობა, რომ მათ უკვე დაღუპეს ამერიკელთა გემი. არც უილსონის სიტყვა მართლდება შესახებ იმისა, რომ ნეიტრალური სახელმწიფონი მის მაგალითს მიჰბაძავენო. მაგ. ნორვეგიამ არა თუ შესწყვიტა გემების მიმოსვლა, მან ერთი მეტად თვალსაჩინო გადაწყვეტილებაც კი გამოიტანა. ამიერიდან გერმანეთის წყალქვეშა ნავებს ნება ეძლევათ თავი შეაფარონ ნორვეგიის წყლებში, თუ ცუდი ამინდი მათ განსაცდელს უქადის. ცუდის ამინდით გერმანელები ძალიან ხშირად ისარგებლებენ და ამ გზით ნორვეგიის ნაპირებს მშვენიერ ნავთსადგურებად გაიხდიან.

საზოგადოთ მსოფლიო ჰორიზონტზე მდგომარეობა უფრო მწვავდება და ჩვენ, გვგონია მოწმენი გავხდებით საშინელ და სასტიკ ამბებისა.

X.

ომის დეპეშები

24 იანვარი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის მიდამოებში, ს. კალნცემის ჩრდილო-აღმოსავლეთით წყებად და წყებად დარაზმული მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა, მაგრამ თავის თხრილებშივე მივაბრუნეთ. ფრიდრიხშტატის ჩრდილო-დასავლეთით, ლინდენის მიდამოებში, გერმანელებმა თავი მოიყარეს და იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ სროლით გავფანტეთ. გერმანელების საფრენს სროლა ავუტეხეთ, იგი მტრის მხარეს პოსტავის ჩრდილო-დასავლეთით დაეშო.

რუმინეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

საფრანგეთი.

23 იანვარი.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ 398 ხმით ხმით 85-ის წინააღმდეგ მიიღო კანონპროექტი, რომლის ძალითაც სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებულთ ხელ ახლათ შეამოწმებენ.

24 იანვარი.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. მულენ-სუ-ტუვანის მიდამოებში ერთბაშად თავს დავესხით მტრის სანგარს და ხელთ ვიგდეთ ათიოდე ტყვე. მტრემა ვერ მოახერხა ორმოს დაჭერა, რადგანაც სროლა აუტეხეთ. „304" მაღლობის მიდამოში მტრის სიმაგრეებს ზარბაზნებს ვუშენდით.

ინგლისი.

23 იანვარი.

ლონდონი. ლლოიდ-ჯორჯმა კარნარვონში სხვათა შორის განაცხადა: ოსმალებს სრულებით არ აქვთ ნიჭი არა თუ სხვა ეროვნებათა, არამედ თავის მოდგმის ხალხის მართვა-გამგეობისაც. მთავრობამ ზომები მიიღო ახალი გემების ასაგებად, რომლებიც რამდენიმე ასი ათასი ტონის მტვირთველი იქნება. მთავრობა ღონისძიებას ხმარობს ყველა ცარიელი ადგილები სანოვაგის თესლეულობით მოთესოს. მთავრობა ზომებს ღებულობს გერმანეთის მეკობრობის წინააღმდეგ ზღვაზე. მოკავშირეთა გამარჯვება უზრუნველყოფილია, თუმც ჯერ ბევრი მომსხდარი დაქანებული მდინარე უნდა გადავლახოთ. ამისთვის ყველა მამაკაცი, დედაკაცი და მთელი ერი უნდა დაგვეხმაროს ამ მდინარეებზე ხიდის გასადებად. ჩვენი საზღვაო ბატონობა შეურყეველია. მაგრამ ჩვენს ქვეყანას უნდა ესმოდეს თუ რას მოასწავებს გერმანელების მუქარა წყალქვეშა ბრძოლის გაჩაღებისა. გერმანეთმა ცივილიზაციის უკანასკნელი სახიერება ჩამოიგლიჯა. საფრთხე უდიდესია. მაგრამ ჩვენ გადავლახავთ მას. გაუმარჯვებლად ზავი მშვიდობიანობას ვერ დაამყარებს. მოპირდაპირის უკანასკნელი ნაბიჯი ძალ-ღონის მოსაკრები და შესვენების ხერხია. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ, რომ პრუსიის ვაალი ცრუ ღმერთია, რომელმაც მოუვლინა გერმანეთს შიმშილი. ჩვენ უნდა დავუმსხვრიოთ მტერს ოცნებანი, რათა ომი 1917 წელს დასრულდეს და მას იმედი აღარა ჰქონდეს 1918 წელს ომის განგრძობისა.

ზღვაზე

ჰააგა. ჰოლანდიის გემი „გამმა" დაჰღუპეს. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ლონდონი. ამერიკის გემი „ჰუსატანკ"-ი დაღუპეს.

ლონდონი. ფილადელფიიდან იტყობინებიან: გერმანეთის დამხმარე კრეისერები „კრონპრინც-ვილჰელმი" და „პრინც-ეიტელ ფრიდრიხი" გემთა საამშენებლო ქარხანაში დაატყვევეს. მეზღვაურები ცალკე ყაზარმებში მოათავსეს.

დანია და შვეცია

კოპენჰაგენი. შვეციის მეფე გვესტუმრა. მიეგებნენ შვეციის პრემიერ-მინისტრი და დესპანი. სტუმრობას კერძო ხასიათი აქვს. მეფე ხვალ უკანვე გაბრუნდება.

სტოკჰოლმი. დღეიდან ისპობა გაპარანდუსაკენ მიმავალ რუსულ ჩქარი მატარებლის მიმოსვლა, რადგანაც ბერგენნიუკასტის გემების მიმოსვლა შესწყდა და რუსეთის მგზავრთა რიცხვი შემცირდა.

კოპენჰაგენი. შვეციის მეფემ დანიის მეფესთან ისადილა. საღამოთი სამეფო თეატრში იყვნენ. დღეს შვეციის მეფე გუსტავი მიემგზავრება.

უილსონის სიტყვა

(პეტ. დეპ. სააგ.)

ვაშინგტონი. კონგრესის დარბაზში უილსონმა ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც აღტაცებით მიეგებნენ და ბევრჯელ ტაშით აწყვეტინებდნენ სიტყვას. უილსონმა განაცხადა: საფუსტო გემის „სუსექ"-ის დაღუპვის გამო ამერიკამ გერმანეთს ნოტა გაუგზავნა. გერმანეთმა 21 აპრილს გვიპასუხა, რაზედაც 25 აპრილს პასუხი გავეცით. გერმანეთმა ამ ნოტაზე პასუხი აღარ გაგვცა. შემდეგ უილსონმა მოიყვანა 18 იანვრის გერმანეთის მემორანდუმის შემდეგი სიტყვები: „რადგანაც გერმანეთის ცნობა აბათილებს გერმანეთის მიერ 21 აპრილს მოცემულ პირობას, შტატების მთავრობას მეტი აღარა დარჩენია რა, რომ შტატების მოვალეობისა და სახელის გულისათვის, იმ ზომას მიჰმართოს, რაც 23 მარტის ნოტაში აღნიშნა, უკეთუ გერმანეთი ხელს არ აიღებს თავისს არჩეულ საომარ გეგმაზე, ამისათვის ლანსინგს წინადადება მივე ბერნსტორფს აცნობოს, რომ გერმანეთთან სადიპლომატო დამოკიდებულება შეწყვეტილია და ბერლინში მყოფ ამერიკის დესპანს დაუყოვნებლივ დავიბარებთ; ამისათვის ბერნსტორფს პასპორტები ჩააბარეო. ამისდა მიუხედავად ვერ დავიჯერებ, რომ გერმანელებს სურვილი არა ჰქონდეთ ანგარიში გაუწიონ ჩვენი ხალხის დიდიხნის მეგობრობას, ან მართლა დაარღვიონ მოცემული პირობა და ამერიკელი გემები ღუპონ, ამერიკელთა სიცოცხლე ანადგურონ განზრახ წარმოებულ წყალქვეშა ბრძოლით. თუ ჩემი ულრმესი რწმენა მათს ზომიერ და ფრთხილ შორსმჭვრეტელობაში, სამწუხაროდ, უსაფუძვლო გამოდგება, თუ ამერიკის მოქალაქეთა სიცოცხლე და ამერიკის გემები საერთაშორისო უფლებათა უმიზნოდ გადალახვის მსხვერპლი გახდება, მაშინ კონგრესს ვსთხოვ რწმუნებულებას, რათა ჩვენი მეზღვაურებისა და ერის თავის დასაცველი ზომები მივიღო. მე ამაზე მეტს ვერას გავარიგებ და დარწმუნებული ვარ ნეიტრალი სახელმწიფოებიც ამავე გზას დაადგებიან. ჩვენ არა გვსურს გერმანეთის მთავრობასთან სამტრო განხეთქილება მოგვიხდეს, ჩვენ გულწრფელი მეგობრები ვართ გერმანეთის ერისა და გულწრფელად გვინდა მეგობრული კავშირი ვიქონიოთ მის მთავრობასთანაც, რომელიც თავისი ერის სახელით ლაპარაკობს; არ დავიჯერებთ, რომ ისინი მტრულად გვეცქერდნენ ჩვენ, სანამ თვითონ ამის საბუთს არ მოგვცემენ. მხედველობაში გვაქვს. ჩვენი ერის უტყუარ უფლებათა გონივრული სარჩლი, ჩვენ ეგოისტური მიზნები არ გაგვაჩნია, ვცდილობთ მხოლოდ შევინარჩუნოთ ჩვენი ერის კანონიერი პრინციპები, ჩვენი უფლებისა, თავისუფლებისა, სამართლიანობისა და მშვიდობიან ცხოვრებისა. ეს დებულებანი საფუძვლად უძევს მშვიდობიანობას და არა ომს. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ იძულებული გავხდეთ გერმანეთის მთავრობის წინასწარ განზრახულ უსამართლობას ძალაუნებური მოქმედება დავუპირდაპიროთ.

უმაღლესი ბრძანებანი

(პ. დ. ს.)

პეტროგრადი. უმაღლესის ბრძანებით გენერალ-მაიორი გროტენი სასახლის კომენდანტის თანაშემწედ დაინიშნა, ხოლო გენერალ-ლეიტენანტი როეინი სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გადაიყვანეს.

პეტროგრადი. უმაღლესის ბრძანებით სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი შევიაკოვი სენატის წევრად დაინიშნა; იგი დარჩა ქალთა საპედაგოგიო საიმპერატორო ინსტიტუტის პროფესორად და ტაინი სოვეტნიკობაც ებოძა.

იუსტიციის სამინისტროს გამგემ დობროვოლსკიმ მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა, რათა იუსტიციის სამინისტროში თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ქალებიც მიიღონ.

პეტროგრადი. 20 იანვარი. ხელმწიფე იმპერატორის 12 იანვრის უმაღლესის ბრძანებით ომის შემდეგ პოლონეთის სახელმწიფო მოწესრიგებისათვის, შესდგება საბჭო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობით, სამხედრო, საშინაო და ფინანსთა მინისტრების, უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსისა, სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს თავმჯდომარეთა, გორემიკინის, საზონოვის და სხვათა მონაწილეობით. საბჭო შეიმუშავებს გეგმას პოლონეთის მოწყობისას ომის დასრულების შემდეგ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანეთი

ჯარის რაოდენობა.

ს. დიმიტრიევს მოჰყავს გერმანეთის სამხედრო სამინისტროს ცნობები გერმანეთის ჯარის რაოდენობისა ომის დაწყების წინა დღეებში. იმ დროს გერმანეთის ქვეითა ჯარში ყოფილა: 18 ეგერთა ბათალიონი, 459 ესკადრონი, 567 ავტომობილის ბატარეა, 22 ცხენით საზიდი, 69 გაუბიცების ბატარეა, 97 მძიმე ზარბაზნების ბატარეა. სულ 714 ხიშტი, 68,850 ხმალი, 3,948 მსუბუქი და 338 მძიმე ზარბაზანი და 1,458 ტყვიისმფრქვეველი. ამას გარდა მარქაფა ჯარში ჰყოლიათ: 528 ქვეითა და 18 ეგერთა ბათალიონი, 138 ესკადრონი, 264 ავტომობილის ბატარეა; სულ 546 ათასი ხიშტი, 20,700 ხმალი, 1,584 მსუბუქი ზარბაზანი, 1056 ტყვიის მფრქვეველი; ლანდვერში ყოფილა 528 ქვეითა ბატალიონი, 132 ესკადრონი, 176 ავტომობილების ბატარეა. სულ 528 ათასი ხიშტი, 19,800 ხმალი, 1056 ზარბაზანი; ლანდშტურმში ყოფილა: 300 ქვეითა ბატალიონი, 80 ესკადრონი, 40 ავტომობილების ზარბაზანი; სულ 300 ათასი ხიშტი, 12 ათასი ხმალი, 240 ზარბაზანი.

სულ ერთად ყოფილა: 131,978 აფიცერი, 4,338,545 ჯარის კაცი, 7,992 მსუბუქი და 1,396 მძიმე ზარბაზანი, 2,514 ტყვის მფრქვეველი, 1,033,633 ცხენი, 190,795 ურემი (პოვოზკა).

ეს არის ჯარის შტატის შემადგენლობა. მაგრამ ამას გარდა, გერმანეთის ოფიციალ ცნობებით, მათ ჰყოლიათ კიდევ: მუდმივი ჯარი 507 ათასი კაცისაგან შემდგარი, მარქაფა ჯარი: 1,100,000, ლანდვერი 1 გაწვევისა 1,010,000, ლანდვერი მეორე გაწვევისა 1,070,000, ერზაც—მარქაფა—ცხრა ათასი, ლანდშტურმი პირველი გაწვევისა 17—$20^1/_4$ წლამდე 1,650,000, $20^1/_4$—$38^1/_4$ წლისანი 2,030,000, ლანდშტურმი მეორე გაწვევისა 790 ათასი გაწრთვნილი, 835 ათასი გაუწრთვნელი. სულ 9 მილიონი 867 ათასი ჯარის კაცი.

გერმანელების ზარალი.

იმავე დიმიტრიევის და შუმსკის ცნობით გერმანელებს 30 თვის განმავლობაში დაჰკლებიათ სულ 4 მილიონ 36,423 მეომარი. ამათგან 980,815 მოკლულა, 545,114 უკვალოდ დაკარგული, 2,510,494 დაჭრილი. შუმსკის ვარაუდით, გერმანელების ჯარს მთელი ომის განმავლობაში ნამდვილად მოჰკლებია მოკლულთა გარდა, 600 ათასი მეომარი, რომელთაც შრომის უნარი დაკარგული აქვთ, ესე იგი დაჭრილთა რიცხვის (ორ-ნახევარი მილიონი) მეოთხედი. რადგანაც დაჭრილები იკურნებიან და ისევ რაზმებში ბრუნდებიან, სჩანს გერმანელების ჯარს დაჰკლებია მოკლულებით, უკვალოდ დაკარგულებით და შრომის უნარ მოკლებულებით სულ 2 მილიონი და ასი-ათასი კაცი. შუმსკის არ სჯერა ასეთი სიმცირე გერმანელების ნამდვილი ზარალისა და ეჭვს გამოსთქვამს, ალბად გერმანელები განზრახ ჰმალავენ და არ აქვეყნებენ ნამდვილ ზარალსაო.

უდიდესი ბრძოლის მოლოდინში

მას მერე, რაც გერმანელები რუმინეთში უკანასკნელ ბუნებრივ სიმაგრეს—მდ. სერეტის ხაზს მიადგნენ, რუსეთ-რუმინეთის ჯარმა ძალღონე მოიკრიფა და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. რუმინეთში ეხლა, ბრძოლა თითქმის დაცხრა. თუმცა რიგის მიდამოებში, ტირულის ჭაობებსა და მდ. აას შუა ცხარე ბრძოლები სწარმოებს და ხან ბრძოლის სიმკაცრე უფრო სამხრეთით ბრზეჟანის მიდამოებშიაც გადადის, მაგრამ, სამხედრო მიმომხილველთა აზრით მოპირდაპირე მედგარ შეტევას საფრანგეთის ასპარეზზე ამზადებს და განზრახვა აქვს ისევ ვერდენისაკენ განაახლოს, რუმინეთის გამოსვლით დროებით შეწყვეტილი იერიშები.

ამის თაობაზე „დენ"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: მოპირდაპირეს იმედი ჰქონდა რუმინეთში, მოლდავიის გადმოლახვის შემდეგ, პირდაპირ ბესარაბიაში შემოიჭრებოდა და ჩვენს მარცხენა ფრთას (ბრაილოვიდან დუნაის შესართავამდე) საფრთხეში ჩააგდებდა, მაგრამ, რადგანაც ჩვენმა ჯარმა ბრაილოვთან მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, მოპირდაპირემ ვეღარ გაჰბედა ჩრდილოეთ მოლდავიაში წინსვლის გაგრძელება, რადგანაც მაშინ მის ჯარს ჩვენი ჯარი სამხრეთ-დასავლეთ ბესარაბიის მხრით გვერდიდან დაემუქრებოდა. ამის გამო მოპირდაპირემ ჩვენი ჯარის შუბლის გარღვევაზე ხელი აიღო, რადგანაც ეს დიდს მსხვერპლს მოითხოვდა და რუმინეთში პოზიციურ ბრძოლაზე გადავიდა. ასეთი გადაწყვეტილება იმანაც მიაღებინა, რომ საფრანგეთის ასპარეზზე მოკავშირეებმა მეტად გააცხოველეს იერიშები და მედგრად უტევენ. ამ ჟამად მოპირდაპირე დიდ სამზადისშია მოსალოდნელ უდიდეს ბრძოლისათვის, მაგრამ ნამდვილად—რომელ ადგილას გააჩაღებს ბრძოლას, ძნელი სათქმელია. თუმცა მისი იერიშები მაასის მარცხენა ნაპირას, ავოკურსა და კიუმერის შუა 10 ვერსის სივრცეზე, მის განზრახვას ამჟღავნებს. მას ჰსურს გააბათილოს შარშან ღვინობისთვეში ფრანგების გამარჯვების შედეგი და თავისი მდგომარეობა კვლავ განამტკიცოს ვერდენის მიდამოებში. ვერდენის აღება და მაასის მიდამოების ხელში ჩაგდება მოპირდაპირეს სჭირდება, რათა გაიმაგროს ვერდენ-მეც-აპრემონის მაღლობებშუა მდებარე ადგილები, სივრცით 600 ოთხკუთხი ვერსი. ეს მიდამოები ლორენის სამრეწველო ადგი-

ვისი ბრალია?

(ისტორიული ნარკვევი)

(გაგრძელება)

ასეთი შეურიგებელი აზრები ტრიალობენ დღევანდლამდე რუსეთის ისტორიულ ლიტერატურაში. შეურიგებელი იმიტომ, რომ მკვლევართ სახეში აქვთ მხოლოდ სამხრეთ დასავლეთი, ანუ ოსმალეთის ასპარეზი. ჩვენის აზრით კი ნამდვილი შინაარსი აღმოსავლეთის საკითხისა მდგომარეობს რუსეთის სურვილში: იქონიოს თავისუფალი გასავალი ოკეანებისკენ: სამხრეთდასავლეთით შავი ზღვიდამ—ხმელთაშუა ზღვაში და ქვევით ატლანტიდამდე; სამხრეთ-აღმოსავლეთით კი თავისუფალი გასავალი—კავკასიით სპარსეთის ზღვაზედ და იქიდან ინდოეთის ოკეანეზედ, რომელთა წყალობითაც რუსეთი შესძლებს თავის სავაჭრო ოპერაციები გააფართოვოს აზიაში და აფრიკაში, რადგან მისი ინდუსტრია ევროპაში ვერავითარ ბაზარს ვერ მოიპოვებს. გერმანელთა ზეგავლენის განვითარება მცირე აზიაში, ოსმალეთის კრიზისი და რუსეთ-ინგლისის კონკურენცია სპარსეთში, რომელთაც თავი იჩინეს მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში და თუნდაც დღევანდელი საერთაშორისო ომი საუცხოვოდ ამტკიცებენ ჩვენს შეხედულობას აღმოსავლეთის საკითხზედ. რუსეთი მიილტვოდა აღმოსავლეთისაკენ, ზღაპრულ ინდოეთს და თავისუფალ ოკეანეს შესტრფოდა, მაგრამ მან შავ ზღვაზედ გზა ვერ გაარღვია. მის სურვილს ეღობებოდა არა მარტო ოსმალეთი, არამედ მთელი ევროპის დიპლომატია და კერძოთ ავსტრო-ჰუნგრეთი და ყოფილი პოლონეთის სახელმწიფო. დარჩა მეორე გზა, სამხრეთ-აღმოსავლეთი, სადაც რუსეთს სურდა თავისუფალი გასაქანი ეშოვა. ეს გზაც ძნელი დასაძლევი იყო იმდენად პოლიტიკურად არა, რამდენადაც ბუნებრივი სიმაგრეების წყალობით. კასპიის ზღვა გამოუსადეგარი იყო, რადგან რუსეთს იმ დროს ძლიერ სუსტი ფლოტი ჰქონდა. კავკასიის ქედიც გადაულახველად ითვლებოდა. მაგრამ მთებს აქეთ იყო ერთმორწმუნე საქართველო, რომელიც თვითონ მიიწევდა რუსეთისკენ და სიამოვნებით დარიალის და დარუბანდის კარებს, რომლის ბატონ-პატრონი თითონ იყო, რუსეთს გაუღებდა. ეს მოვლენა, რასაკვირველია, რუსეთს არ გამოეპარებოდა და საქართველოს მდგომარეობით ისარგებლებდა.

მართლაც მისმა სახელმწიფო პოლიტიკამ დაინახა საქართველო, როგორც ერთი მამოძრავებელი ბულლი აღმოსავლეთის საკითხისა და მთელი თავისი დიპლომატიური ხრიკები საქართველოსკენ მიმართა. ამ მიზნით საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა იწყებს, რაც პირველ ხანებში მხოლოდ მიწერ-მოწერით და ელჩების გზავნით განისაზღვრებოდა. მეთხუთმეტე საუკუნიდან რუსეთი უფრო ცდილობს დაუახლოვდეს საქართველოს და დიპლომატიური ურთიერთობა უფრო გარკვეულ სახეს იღებს. ქართველ-რუსთა შორის ურთიერთობა უფრო სხვა შედეგებს გამოიღებდა და, შეიძლება, წინა და მცირე აზიის რუკა სულ სხვანაირი ყოფილიყო, რომ რუსეთში მეხუთმეტე საუკუნის გასულს და მეთექვსმეტეს დასაწყისს შინაური არეულობა არ მომხდარიყო. რუსეთმა არეულობის ხანაში დიდი სახელმწიფოებრივი კრიზისი განიცადა და ამ გარემოებამ იმისი სოციალურ-პოლიტიკური განვითარება რამდენიმე საუკუნით უკან დასწია. ამავე კრიზისის ბრალი იყო, რომ რუსეთი კავკასიაში სულ ვერ მოქმედობდა, თუმცა ქართველ-რუსთა შორის ურთიერთობა და დიპლომატიური მიწერ-მოწერა არ შეწყვეტილა. ხსენებულ ურთიერთობის განხილვა და მისი კრიტიკული გარკვევა სულ სხვა თემის საგანს შეადგენს. სამწუხაროდ, ამ საინტერესო მასალაზედ აქ ვერ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსეთი ყოველ მხრივ ცდილობს საქართველოში მჭიდროთ ფეხი მოიკიდოს.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში საკითხი სულ სხვანაირ კალაპოტში ჩადგა. რუსეთში გამეფდა პეტრე დიდი, რომელმაც აღმოსავლეთის საკითხს ახალი მიმართულება მისცა. მან გადასწყვიტა დამკვიდრებულიყო გურგენის ზღვის მიდამოებში, აეშენებინა ზღვაზედ სავაჭრო ნავთსადგურები და ამით აღმოსავლეთში ვაჭრობა თითონ ჩაეგდო ხელში. ამ გეგმის განხორციელებას პეტრე დიდი მხნედ შეუდგა. 1715 წელს მან გაგზავნა სპარსეთში თავისი რწმუნებული ვოლინსკი განსაკუთრებულ პოლიტიკურ მისიით, რომელმაც მოახერხა 1718 წელს სპარსეთთან სავაჭრო ტრაქტატი დაედო და რუსეთის მოქმედებისთვის საერთაშორისო იურიდიული სახე მიეცა. ვოლინსკის მისიას უფრო სხვანაირი შედეგი მოჰყვა. მან წარუდგინა პეტრე დიდს მოხსენება, სადაც აღნიშნავდა კასპიის მდიდარ მიდამოების დაჭერის აუცილებლობას, რაც შეიძლება მალე, რადგან, მისი აზრით, ამ მხარეს სულ ცოტა ხანში ან ავღანელები, ან ოსმალები დაეპატრონებოდენ. პეტრე დიდმა ვოლინსკის პროგრამა მიიღო და 1719 წელს ბრძანა განსაკუთრებული ექსპედიცია გამგზავრებულიყო კასპიის ზღვის შესასწავლად. 1719 წელს კი თვით ვოლინსკი დაინიშნა ასტრახანის გუბერნატორად და დაევალა მომზადებულიყო სპარსეთზედ გასალაშქრებლად. ამ ლაშქრობის გამომწვევი მიზეზი ოსმალეთის მხრიდან აღძრული შიში იყო. სპარსეთი ხსენებულ ხანაში სახელმწიფოებრივ დაქუცმაცებას განიცდიდა. შინაურ უთანხმოებით აღძრულმა ბრძოლამ საგრძნობლად დაასუსტა ძლიერი სპარსეთი. სამაგიეროთ ოსმალეთი ამ დროს სახელმწიფოებრივ ძლიერების უმაღლეს განვითარების ფაზაში იყო, და ყოველ წუთს შეეძლო დასუსტებულ სპარსეთისათვის გურგენის ზღვის ნაპირები წაერთმია და მის მიდამოებში გამეფებულიყო. ოსმალეთის კასპიის ზღვაზედ ბატონობა კი თუ არ გამოიწვევდა რუსეთში ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისს საგრძნობლად მაინც შეავიწროებდა მის სავაჭრო ბაზარს და აღმოსავლეთზედ ხომ სამუდამოდ ხელს აალებინებდა. შორსმჭვრეტელ პეტრე დიდისათვის ეს პოლიტიკური სტიმული შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. და მართლაც შვედელებთან ოცი წლის ომას გათავებისათანავე სპარსეთთან დაიწყო ომი. პეტრე დიდმა საქართველოს მნიშვნელობა ეხლა უფრო გარკვეულად შეიგნო. საქართველოს დახმარება ამ დროს მისთვის დაუფასებელი უნდა ყოფილიყო და ამიტომაც მან უბრძანა ვოლინსკის მეფე ვახტანგი რუსეთის მხარეზედ გადმოეყვანა და, თუ შეიძლებოდა, კახეთის მეფე კონსტანტინეც მოემხრო. აქ უნდა ავღნიშნოთ, რომ ვახტანგს შველა სთხოვა აგრეთვე სპარსეთის შაჰმა ჰუსეინმა, ხოლო რუსეთის კი არა, ავღანელების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთა აჯანყებამ სპარსეთის წინააღმდეგ 1721 წელს ისეთი სერიოზული სახე მიიღო, რომ თვით სეფებიდების სამეფო ტახტს აუცილებელი დამხობა მოელოდა. მარტში 1722 წელს სპარსელებმა ომი წააგეს, და ავღანელებმაც ისპაჰანს ალყა შემოარტყეს. აი ამ გაჭირების დროს ჰუსეინმა შველა სთხოვა ვახტანგს. უკანასკნელი ამ დროს ფორმალურად სპარსეთის ვასალად ითვლებოდა და ამიტომ მოვალეც იყო ჰუსეინისათვის ეშველნა. მაგრამ, თუ ვახტანგს მაინც თხოვნით მიმართეს, ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. სახელდობრ, ავღანელებს ძლიერ ეშინოდათ ქართველებისა. ჯერ ისევ ქართველი მეფის გიორგი მეთერთმეტის და მის სპასპეტის ქაიხოსროს მამაცობის სახელი შიშს უძრავდა ავღანელებს და ქართველების იარაღი მათთვის კარგა საშიში იყო. ვახტანგის გალაშქრება მათზედ საგრძნობელ შედეგს მოიტანდა, და თუ მთლად არ გასდევნიდა ავღანელებს სპარსეთიდან, ისპაჰანის ალყას მაინც მოახსნევინებდა. ამრიგად, ვახტანგის წინ ორი გზა წამოიჭრა თავთავისი პოლიტიკურის პროგრამით. იგი უნდა შეერთებოდა რუსეთს, ან სპარსეთს საუდამოდ ჩამოჰშორებოდა, ან უკანასკნელთან კავშირით რუსეთისადმი მიდრეკილება უარ ეყო. მაგრამ ქართველ გვირგვინოსნების სიმპატია რუსეთისადმი ამ დროს დიდი იყო. ხოლო, როგორც ამას ქვევით უკეთ დავინახავთ, მიზანშეწონილად მხოლოდ რუსეთთან კავშირი მიაჩნდათ, თავის პოლიტიკის უპირველეს საგნად რუსეთთან ერთობა, თუ გინდ შეერთებაც მიაჩნდათ. ამიტომ ვახტანგმაც ისევ რუსეთთან კავშირი არჩია და შაჰ ჰუსეინს უარი შეუთვალა. ზოგი ისტორიკოსი ვახტანგის საქციელს პოლიტიკურ შეცდომად სთვლის და ესენი, როგორც ამას დასძენს ზ. ავალიშვილიც თავის მშვენიერ გამოკვლევაში, მართალნი არიან, ვინაიდან შემდეგმა ისტორიულმა მსვლელობამ ვახტანგის შეცდომა ნათელჰყო. ჩვენ არ შევჩერდებით დაწვრილებით ამ გალაშქრებაზედ, არც ის გვაინტერესებს, პეტრე დიდის მოულოდნელმა დარუბანდიდან ასტრახანში უკან დახევამ, თუ რამდენად ჩაშალა ქართველ-რუსთა ერთად მოქმედების გეგმა სპარსეთის წინააღმდეგ. ჩვენ ეს ფაქტი მხოლოდ აღმოსავლეთის საკითხის საილიუსტრაციოდ აღვნიშნეთ, რომ უფრო ნათელ გვეყო რუსეთის შეხედულება საქართველოზედ—როგორც კაი ბაზისა ან და მშვენიერ საშუალებისა რუსეთის აღმოსავლეთში მოქმედებისათვის.

მეორე ანალოგიური მაგალითი გვხვდება ჩვენს ისტორიაში ეკატერინე II-ს მეფობის დროს. 1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ამ ომის გამო მოწვეულმა სახელმწიფო საბჭომ ერთ ერთ თავის სხდომაზედ, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი, თუ რანაირ საშუალებით უნდა შებრძოლებოდნენ ოსმალეთს გრაფ ორლოვის წინადადების თანახმად, დაადგინა: მიეცეს წინადადება ქრისტიან ერებს, ოსმალეთში მაცხოვრებლებს: მორაველებს, დალმატელებს, ჩერნოგორელებს, ბერძნებს და სხვ. მიიღონ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა. ამასთანავე, რუსეთს უნდა გამოეცხადებინა, რომ იგი იბრძოდა სარწმუნოებისათვის (სოლოვიოვი, ისტ. რუს. ტომი 28, გვ. 13).

ლებს უზრუნველჰყოფს და აგრეთვე საშუალებას მისცემს ჯარის ახალი დარაზმვისა და გადაყვან-გადმოყვანისას ჩრდილოეთისა და სამხრეთის ასპარეზისაკენ. უდიდესი ბრძოლა ერთა შორის ახლოვდება.

გემების დაღუპვა.

„რუს. ინვ“-ის სამხედრო მიმომხილველის ცნობებით შარშან 29—30 ქრისტეშობისთვეს გერმანელების წყალქვეშას დაუღუპია 8 ინგლისის და 2 საფრანგეთის გემი, დაუტყვევებია 2

ესპანია

მეფის მოკვლის განზრახვა

რომიდან იტყობინებიან: ესპანიის მეფის მოკვლის განზრახვამ აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პაპმა გულითადი მილოცვა გაუგზავნა მეფეს, მშვიდობით გადარჩენის გამო. ამბობენ, გერმანელები სცდილობდნენ ესპანიის მეფის ალფონს მეცამეტისა და რომის პაპის გადაბირებას, მაგრამ ვერ მოახერხესო.

ნეიტრალ სახელმწიფოთა კონფერენცია.

„Tribuna“ იტყობინება: ესპანიის მეფის თაოსნობით მოლაპარაკება სწარმოებს ნეიტრალ სახელმწიფოთა შორის კონფერენციის მოწვევის თაობაზე. კონფერენცია სტოკჰოლმში მოხდება ამ ცოტა ხანში.

პოლონეთის სამეფო

15 იანვარს პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომა მოხდა, რომელზედაც სულიგოვსკი პირველად თავმჯდომარეობდა. თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს ცვილინსკი და ზავადსკი. საბჭომ დაადგინა პოლონეთში მიწის გარდასახადი შეამციროს. ვარშავის, პეტროკოვის და ლიუბლინის ქალაქების საბჭოებმა სახელმწიფო საბჭოს მიულოცეს როგორც პოლონეთის სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებას.

პოლონეთის სახელმწიფო საბჭომ იმპერატორს ვილჰელმს მისალმების დეპეშა გაუგზავნა.

სახელმწიფო საბჭო.

გაზ. „Sprawn Polek“-ას ცნობებით პოლონეთის საბჭოს 25 წევრიდან 11 უპარტიოა, დანარჩენი კი მემარცხენე.—საგულისხმოა, რომ სახელმწიფო საბჭო უმთავრესად „აქტივისტებისაგან“ შესდგება, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ შედგენას პოლონეთის ჯარისას და რუსეთის წინააღმდეგ გამოლაშქრებას.

იგივე გაზეთი გადმოგვცემს, რომ პოლონეთის გავლენიანი წრეები და პარტიები თანდათან თავს იკრეფენ სახელმწიფო საბჭოს გარშემო. „Echo Polskie“ სწერს: არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი არ მიდის საბჭოს წინააღმდეგ და დღითი-დღე იზრდება საბჭოს მნიშვნელობა და გავლენა. ახლოა ის დრო, როდესაც მთელი პოლონეთის ხალხი სახელმწიფოს საბჭოს ეროვნულ მთავრობად აღიარებს.

ვარშავის გაზეთი „Goniee“ სწერს: „ჩვენ სახელმწიფო საბჭოსაგან მოვითხოვთ, რომ იმუშაოს განათლებისა, სამართლისა და სასოფლო მეურნეობისათვის, უმთავრესად კი პოლონეთის ჯარის შექმნას ვავალებთო“.

„Nova Gazeta“ სწერს: „ჩვენთის—დემოკრატიულ პარტიებისათვის—ცხადია, რომ საბჭოს ჯერ ბევრი რამ ნაკლი აქვს, მაგრამ არავინ არ შეეგება ისეთის გულწრფელობით, როგორც ჩვენ დემოკრატები—და არავინ არ განუცხადებს მას ეგოდენ ნდობას, რათა მან მოიხვეჭოს უდიდესი ნდობა და თანაგრძნობა.

ფლანდრიის დამოუკიდებლობა

Taegliche Rundschau“ სწერს: საჭიროა ფლანდრია მოეწყოს დ მოუკიდებელ სახელმწიფოდ თავ-ისი ფლამანდიური ეროვნული საბჭოთი. პოლონეთი და ფლანდრია უნდა იყოს გერმანეთის კულტურის დამცველ მხარედ გარეშე მტერთაგან შემოსევისაგან. ამ სახელმწიფოთა მაგალითი თანაგრძნობას მოუხვევს გერმანეთის კულტურასაო.

მორატის მოსაზრება

ცნობილი გერმანელი სამხედრო მიმომხილველი მაიორი მორატი ამბობს: გერმანეთის ჯარების გადაყვან-გადმოყვანა და დარაზმულობა უმაღლეს მთავარსარდალს თავისუფალ მოქმედების და გადაწყვეტილების საშუალებას აძლევსო.

ესპანია

ესპანიის მეფის პირადის თხოვნით და შუამდგომლობით გერმანეთის მთავრობას შარშან 60 ათას ტყვის თაობაზე მიუციას ცნობები, 22 ათას მოქალაქის ბედი უცნობებია, 600 დეპეშა და წერილი გადაუცია ტყვეებისათვის. ამავე დროს მეფის შუამდგომლობითვე გერმანეთის მთავრობას სამშობლოში დაუბრუნებია გერმანეთში მომწყვდეული უცხოეთის მოქალაქენი. 3 ათასი შრომის უნარ დაკარგული ტყვე გაუცვლიათ. მეფის შუამდგომლობით 35 ფრანგისა, ბელგიელისა და რუსისათვის უპატიებიათ სიკვდილით დასჯა.

ამერიკა

ვაშინგტონში მყოფი გერმანეთის დესპანი გრაფი ბერნსტორფი არწმუნებს ამერიკელ ჟურნალისტებს, რომ ინგლისი სავაჭრო გემებს აიარაღებს, ზარბაზნებს აწყობს აგრეთვე გემის წინა ბაქანზედაც. ამერიკული კანონებით კი სავაჭრო გემებს იმისი უფლება არა აქვს თურმე. ბერნსტორფს ამასთანავე განუცხადებია: ამის საპასუხოდ გერმანეთი ინგლისის სანაპიროების ნამდვილ გარემოცვას მოაწყობსო.

უკანასკნელი ცნობები

ავსტრიისა და გერმანეთის მთავარ შტაბთა შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა. ჰინდენბურგი მოითხოვს ჯარის წინამძღოლობიდან გადაყენებულ იქმნენ მრავალი ავსტრიელი და მუნგრელი გენერალი და მათ მაგიერ გერმანელი გენერლები უნდა დაინიშნონო.

შვეიცარია თავის დასაცველად დიდ მზადებაშია. შიშობს ჩემს ნეიტრალობას დაარღვევენო. შვეიცარიის საზღვრებზე თხრილებს აკეთებენ და მძიმე არტილერიას სდგამენ.

ბერლინში სწავლულთა და მეცნიერთა შეერთებული კრება მოხდა, უნდა შეემუშავებინათ ზომები, თუ რა გზით შეიძლება გერმანეთის მცხოვრებთა კარგის ჯიშის ასაღორძინებლად. დაადგინეს, ჯერჯერობით სავალდებულოთ გავხადოთ სასიძო ჯანმთელობის მოწმობა მოეთხოვოს ჯვრის წერამდეო.

გერმანელები ძალიან ცდილობენ, ლიტვაში ლიტველთა ლეგიონები შეადგინონ.

6 იანვრის რესკრიპტს უბრუნდება გაზეთი „ნოვ. ვრემია“ და ამბობს: რუსეთის ხალხი ელის და იმედი აქვს, რომ ბრძნული კეთილშობილური აღთქმანი არ იქმნებიან დამახინჯებულნი აღმასრულებელ მთავრობის უმეცრებითა, უცოდინარობითა და სიბნელითა. ამ რესკრიპტის გარეშე ომის კეთილად დაგვირგვინება ყოვლად წარმოუდგენელიაო.

ბიუროკრატიულ წრეებში დიდი ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მალე შესდგება კაბინეტი, სადაც გადასწყდება, რომ სათათბირო რაც შეიძლება მალე იქმნეს მოწვეულიო.

ამბობენ, უილსონი ამ დღეებში ვაშინგტონში სავაჭრო პალატაში საყურადღებო სიტყვას იტყვის ზავის შესახებაო.

გერმანეთის ელჩი ბერნსტორფი თურმე შუამდგომლობს შეერთებულ შტატების წინაშე—განაგრძეთ ზავზე მოლაპარაკებაო. ბერნსტორფი ამტკიცებს, გერმანეთი უილსონის ნოტის საპასუხოთ განაცხადებს, რომ უილსონის აზრს ზავის შესახებ სრულიად იზიარებსო. ისე ჩამოვაგდოთ ზავი, რომ არ იყოს არც გამარჯვებული და არც დამარცხებული. მხოლოდ ზავი რაც შეიძლება მალე მოხდესო. ამასთანავე გერმანეთი მოითხოვს ზღვების თავისუფლებას და ჯარის რიცხვის შემცირებასაო.

უწ. სინოდის ობერ-პროკურორს რაევს იმედი აქვს კანონის 87 მუხლის ძალით გადაადებინოს 160 მილიონი მართლმადიდებელ სამღვდელოების უზრუნველსაყოფად.

ოდესიდან იტყობინებიან: სერბეთის კორპუსის ხაზინაში შეპრილა ვინმე აფერისტი, ოფიცრის ტანისამოსიანი. მორიგისთვის უბრძანებია, მარტო დამტოვეო. უცნობს ხაზინიდან 65,000 მანეთი გაუტაცნია.

გერმანეთის მიერ გამოცხადებულ ბლოკადის გამო სამხედრო-საზღვაო პირები ამბობენ, რომ მოკავშირენი გერმანეთისგან ამ ბლოკადით უკვე გაფრთხილებულნი იყვნენო. უწინ გერმანელები სავაჭრო გემებს ჰკითხავდნენ: ვინ ხართ, ან საით მიდიხართო, ეხლა ამას აღარ იზამენო. ამ ბლოკადით გერმანეთს ჰსურს ჯავრი იყაროს საფრანგეთ-ინგლისსა და ნეიტრალ სახელმწიფოებს შიშის ზარი დასცესო.

რიგის ფრონტზე გერმანელებს ოთხი კორპუსი მიუყვანიათ.

შეერთებულ შტატებში გერმანეთის ბლოკადას შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოუხდენია. თეთრს სახახლეში იმ დღესვე კრება გამართულა. გერმანელების მომხრეების გარდა, ყველანი მოითხოვენ გერმანეთთან კავშირის შეწყვეტას.

ახალი ამბავი

◆ **ერობის გარშემო.** მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი ბ-ნი ლიზოგუბი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამიერ კავკასის საერობო რეფორმების პროექტის შედგენა, ხვალ 25 იანვარს, პეტროგრადს მიემგზავრება და იქ დაიწყება აღნიშნულ პროექტის განხილვის მინისტრთა საბჭოში.

◆ **მისი უმაღლესობა პრინცი პ. ა. ოლდენბურგი** 22 იანვარს თბილისს მობრძანდა. ვაგზალზე მისს უმაღლესობას მიეგებნენ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. 23 იანვარს მისი უმაღლესობა სადარბაზოდ ბრძანდებოდა საქართველოს ეგზარხოსთან. აგრეთვე მისმა უსაღლესობამ კეთილ ინება დაეთვალიერებინა განმანაწილებელი ლაზარეთი ნავთლუღში და ლაზარეთის სისუფთავე და წეს-რიგი მოეწონა.

◆ **საფუთო გადასახადი.** ბ-ნი გოთუა ატყობინებს ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს, რომ თბილისში საფუთო გადასახადის შემოღების საქმე სამინისტროს არქივში გამოჩხრიკეს და განიხილეს, მაგრამ წინასწარ საჭიროა გამოგზავნოთ თბილისის 6 რუკა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თუ შეიწყნარა შუამდგომლობა, ეს პროექტი მაშინვე განხორციელდებაო.

◆ **განსვენებულ ა. ა. ანანოვის** სახლობას 4,000 მანეთი გადაუცია სომხეთა ცენტრალ კომიტეტისათვის გადმოხვეწილთა სასარგებლოდ.

◆ **თბილისის საქალებო უმაღლესი კურსები.** განზრახულია შუამდგომლობა აღძრან, რომ ამ კურსებზე (ყველა ფაკულტეტზე) ქალებთან ერთად ვაჟებიც მიიღონ მსმენელებად.

◆ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტს.** ხსისიდან სთხოვენ: 1.500 ცალ- სამოსელს ბავშვებისათვის, 2.000 ცალს დედაკაცებისათვის, 1500 ცალს მამაკაცებისათვის და 400 საბანს.

◆ **ქალაქის ლომბარდი.** გადაწყვეტილია ქალაქის ლომბარდის განყოფილებანი დაარსდეს ავლაბარსა და ვაგზლის უბანში.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში** საჭიროა მდივნის თანაშემწე. ჯამაგირად წელიწადში ექნება 1500 მან.

◆ **ფასების მომატება რკინის გზებზე.** განზრახულია ფასები მოუმატონ როგორც სახალხო, ისე საბარგო მატარებლებზე.

◆ **სამხედრო ბეგარა.** განათლების სამინისტროს განმარტების თანახმად, 1914 წლის ივლისის 1 კანონის ძალით დაარსებულ პირველდაწყებით სკოლათა მასწავლებელთ შეღავათი არა აქვსთ და სამხედრო ბეგარა საზოგადო წესით უნდა მოიხადონ.

◆ **ზემგორმა,** პურის გაძვირების გამო, გარდასწყვიტა აზრუმ-ერძინჯანის მიმართულებით 1.000 დესეტინა ადგილზე პური დათესოს. მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს სამხედრო სამეურნეო რაზმი. მუშებათ აიყვანენ სომეხ გლეხებს. პროექტი ამ დიდი საქმისა და ხარჯთაღრიცხვა მზადდება.

◆ **ექიმთა ერთ ჯგუფს** განცხადება შეაქვს საექიმო საზოგადოებაში, რომ, გადამდებ სნეულებათა გავრცელების გამო, საჭიროა ქარხნების მუშებს უსასყიდლოთ ეძლეოდესთ საპონი და მათთვისვე ქალაქის სხვა და სხვა უბანში მოეწყოს უსასყიდლო დუშები.

◆ **ახალი ფონდი.** თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილისათვის უცნობ კაცს გარდაუცია 300 მან. და უთხოვნია, რომ ეს ფული მოახმაროს სწავლა-განათლების საქმეს. თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს გადაუწყვეტია ფული გადასცეს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და წინადადება მისცეს, რომ ეს ფული საფუძვლად დაედვას ილ. ივ. წინამძღვრიშვილის სახელობის ფონდს, რომელიც მოხმარდება მეურნეობის გავრცელებას ჩვენში.

◆ **ხევსურთა დეპუტაცია** ჩამოვიდა თბილისში: უნდა წარუდგეს გუბერნატორს და მოახსენოს სხვა და სხვა გასაჭირი ხევსურთა.

◆ **ფრესკების გამოფენის** სანახავად იანვრის 23 ბრძანდებოდა ეგზარხოსი პლატონი. დათვალიერების შემდეგ, მისმა მეუფებამ ბრძანა, საჭიროა ყოველივე ღონე ვიღონოთ საქართველოს სიძველეთა დაცვისა და განახლებისათვის. თანაც უთქვამს, უნდა საზოგადოება ღავაარსო, რომელსაც ათას ექვსასი თუმანი ჰქონდეს შემოსავალი ამ საქმისათვისო.

ქუთაისი.

ხუთშაბათს, [illegible] აღმაშენებლის ხსენების დღეს და პარასკევს 27 იანვარს ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გამართავს ქალაქის თეატრში ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის გამგეობით და მონაწილეობით დიდ ქართული ეროვნული მუსიკისა და ცეკვა-თამაშის საღამოს შემდეგის პროგრამით: შესავალი სიტყვა, სამუსიკო სურათი, აჭარული სიმღერები, გურული ხორო, თარი, ფანდური, ჩანგური, სტვირი და სხვა. მთელი ერთი განყოფილება შესდგება ქართულ ეროვნულ ცეკვა-თამაშის ნუმრებისაგან. ამ განყოფილებაში, სხვათა შორის, შესრულებული იქნება საგანგებოდ მოწვეულ პირთაგან: ცალფა ცეკვა, წყვილი, როკვა, სამაია, სვანური, ლაზური, ფერხულები და სხვ. მონაწილეობას მიიღებს საგანგებოდ მოწვეული გურული ხორო, მრავალ რიცხოვანი ქალ-ვაჟთა გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით და სხვ. დასასრულ, შესრულდება პირველად ქუთაისის სცენაზე დავლითა და ჭიმონით ძველი ქართული ცეკვა „ხორუმი“. ბილეთები პირველ დღისათვის ათი მანეთიდან ათ შაურამდე დ მეორისათვის სამი მანეთიდან ექვს შაურამდე, ამთავითვე იყიდება ოცხელის და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

ბათუმი.

დრამატ. საზოგადოების გამგეობამ თავმჯდომარედ აირჩია ბ-ნი სიმონ (სესიკო) მდივანი.

— ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ქართველ მაჰმადიანს ჰაიდარბეგ აბაშიძეს ბათომის კომენდანტმა ბათომში ცხოვრება აღუკრძალა.

— საქონლის ხორცი სრულებით არ იშოვება.

ოზურგეთი.

ამ ჟამად სიმინდის ფქვილი ფუთი 4 მანეთად ფასობს.

ბაქო

— საგაზაფხულო სეზონისთვის ბაქოს დრამატ. საზოგადოება რეჟისორად იწვევს ალ. წუწუნავას.

— ქართული დრამატ. წრის თებერვლის შუა რიცხვში უთავდება სეზონი.

— ამ თვის ბოლოს დანიშნულია თავადის ასულის ანდრონიკაშვილის ბენეფისი.

— ამავე დღეებში გამართავს ბ-ნი წუწუნავაც თავის ბენეფისს.

ხობი (ზუგდ. მაზ.)

სპ. ჯორჯიკია და ნაფიც ვექილის თანაშემწე ლ. შურღაია შუამდგომლობენ დაარსდეს ხობში სასოფლო სამეურნეო საზოგადოება „კეთილსაქმე“.

თელავი

— სავაჟო პროგიმნაზიაში 15-ს იანვარს შესდგა მშობელთა კომიტეტის კრება ამავე სასწავლებლის დირექტორის თავმჯდომარეობით. კრებამ ამოირჩია მდივნად მღ. ირ. შავლიაშვილი, ხაზინადრად ბ. ლევ. გოგნიაშვილი, ხოლო თავმჯდომარის მაგიერ (როცა ეს საჭირო იქნება) მის ორ

ამავე მოწოდებით მიმართეს ქართველებსაც. მოწოდებამ ბერძნებში და სლავიანებში ვერავითარი გამოხმაურება იპოვა (სოლოვიოვი, იქვე). არც გრაფმა პონიატოვსკიმ, რომელიც რუსეთის დახმარებით პოლონეთის ტახტზედ ავიდა სტანისლავ ავგუსტის სახელით, არავითარი დახმარება აღმოუჩინა. ყირიმის ხანი, მოლოდინისამებრ, შემოესია რუსეთს და აოხრებდა მის სამხრეთ ნაწილებს თითქმის კიევამდე, შემდეგ კი ომის გათავებამდე ოსმალებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა. ასევე მოიქცნენ ყაბარდოელები, მათ იმ წამსვე აღიმაღლეს იარაღი რუსეთის წინააღმდეგ, სანამ 1769 წელს გენერალმა მედემმა იგინი არ დაამარცხა და რუსეთის ერთგულობაზედ არ დააფიცა. მხოლოდ ქართველებმა ყურად იღეს ეკატერინეს მოწოდება და ხუთის წლის განმავლობაში თავგანწირვით ებრძოდნენ ოსმალებს (პროფ. ცაგარელი—გრამოტები, ტომი I. გვ. I—II). ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისა, რომ—ის აზრი, რომ საქართველო წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას რუსეთის აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებათა განსახორციელებლად, რომ მის წყალობით შეეძლო რუსეთს ფეხი მოეკიდა კავკასიაში და აქედან გზა გაეკვლია თავისუფალ ოკეანემდე, თანდათან მწიფდებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში და მხოლოდ პრაქტიკულ განხორციელებას-ღა თხოულობდა. მის განხორციელებას ხელს უწყობდა თვით საქართველოც, რომელიც იმ თავითვე რუსეთის პროტექტორობას ეძებდა. პროტექტორობაზედ ბევრს ლაპარაკობდნენ თვით რუსეთშიაც, იდეია საქართველოს შეერთებისა რუსეთშიაც ამ კალაპოტში მიმდინარეობდა. მაგრამ, როდესაც რუსეთი გამაგრდა საქართველოში, როდესაც გადალახა კავკასიის ქედი და ეზიარა გურგენის ზღვას, როდესაც რუსეთმა ხელთ იგდო ყველა საქმენი საქართველოს სამეფოსი, მან პროტექტორობა უარჰყო და ინკორპორაცია დაინახა უფრო საუკეთესო ფორმად ქართულ-რუსულ ურთიერთობისა, არა ერთობა, როგორც ამბობს ზ. ავალიშვილი (საქართველოს რუსეთთან შეერთება გვ. 53), არამედ შეერთება ანუ დამორჩილება საქართველოსი ამჯობინა რუსეთმა და მით გადასწყვიტა საუკუნოებში გაჭიანურებული ქართულ-რუსული ურთიერთობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ამ შემთხვევაში მოიქცა სწორ ლოგიკური მიმდევრობით: თავის სამხრეთი საზღვრების უზრუნველსაყოფად და ვაჭრობა-მრეწველობის შესაფერ განსავითარებლათ არა მარტო აზიაში, არამედ მთელ აღმოსავლეთის ქვეყნებში რუსეთისთვის აუცილებელი იყო საქართველოს შემოერთება. სტრატეგიულ მოსაზრებითაც იგი იძულებული იყო გამაგრებულიყო ამიერ კავკასიაში, თუ სურდა ევროპის სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკაში ჩარეულიყო, თუ სურდა რაიმე გავლენა ჰქონოდა აღმოსავლეთის საკითხის მოგვარებაში თავისივე, რასაკვირველია, საკეთილდღეოთ. ეს მოსაზრებანი ჰქონდა სახელმწიფო საბჭოს, როდესაც ერთ-ერთ თავის სხდომაზედ 1800 წლის ქრისტეშობისთვეში საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს იხილავდა. სხვა და სხვა სარგებელთა შორის, რომელნიც მოჰყვებოდა საქართველოს შემოერთებას იმპერიასთან, საბჭო აღნიშნავდა: „დედამიწის გულში დაფლულ მრავალ სიმდიდრეს, რომელთაც მეფე გიორგი XIII რუსეთს უთმობდა“, შემდეგ მოხერხებულ მდგომარეობას საქართველოში, საიდამაც მუდამ მორჩილებაში ეყოლებოდათ კავკასიის მთებში მაცხოვრებელი ერები და, ბოლოს, საქართველოს, როგორც საუკეთესო პუნქტს ვაჭრობის გასავრცელებლათ როგორც მეზობელ ერებთან, ისე ინდოეთთანაცაო და როგორც სტრატეგიულ ბაზას გინდ სპარსეთთან, გინდ ოსმალეთთან ომის დროს (იხ. სახელმწ. საბჭ. არქივი, ტომი II, გვ. 881—882; შეად. ავალიშვილი ზ. გვ. 211).

ამ თვალსაზრისით იხილავდა საკითხს სახელმწიფო საბჭო იმპერ. პავლე I დროს, ასევე შეჰხვდა საკითხს ალექსანდრე I გამეფების დროს. აღსანიშნავია, რომ თვითონ ალექსანდრე I საქართველოს იმპერიასთან შემოერთებას უარყოფითად შეხედა. მან ეჭვი შეიტანა იმ უფლებაში, რის ძალითაც რუსეთი საქართველოს იერთდებდა, თვით ამ აქტს საქართველოს ტახტის მემკვიდრეების წინაშე უსამართლოდ სთვლიდა. ცხადია, ალექსანდრე I გათვალისწინებული არა ჰქონდა ან და ყურადღებას არ აქცევდა იმ საჭიროებათ, რისთვისაც მისი წინაპარი გვირგვინოსნები ან სახელმწიფოს მმართველები საქართველოს შეერთებას აუცილებელ საჭიროებადა სთვლიდნენ. სამაგიეროთ, სულ სხვა პოლიტიკას დაადგა სახელმწიფო საბჭო. ის სრულებით ანგარიშს არ უწევდა სამართალ-უსამართლობის საკითხს. მას მხოლოდ უტილიტარული პოლიტიკა ამოძრავებდა, მხოლოდ სახელმწიფოს მიზანი და სარგებლიანობა აინტერესებდა. ამის მიხედვით მან თავის სხდომაზედ 1801 წლის 15 აპრილს გადასწყვიტა: 1) დაუყოვნებლივ შემოიერთოს საქართველო, რადგან შემოუერთებლობა საზიანოა რუსეთის იმპერიისთვის, 2) საქართველოს წინა-აზიის სამეფოები დაიპყრობენ, რის შემდეგაც ქრისტიან მეზობლების მაგიერ დიდი ხნის მტრები მაჰმადიანები გვეყოლებიან მეზობლათაო. საქართველო კი ხელს უშლის სპარსეთის და ოსმალეთის შეერთებას, რომ მათ ერთად იმოქმედონ რუსეთის წინააღმდეგ. მთიულებიც დაწყნარდებიან, როდესაც საქართველო უკანიდან დარაჯად ეყოლებათ. 3) საქართველო რომ არ შემოვიერთოთ, იგი შეუერთდება ოსმალეთს და მაშინ რუსეთი დაიღუპება, რადგან მთელ რვაას ვერსზედ გაჭიმულ ფრონტზედ მოუხდება საქმის დაჭერა ოსმალებთანაო. ყველა ამ მოსაზრებით სახელმწიფო საბჭოს აუცილებლად მიაჩნია საქართველოს შემოერთება (სახელმწ. საბჭოს არქივი, ტომი III, ნაწ. 2, გვერდი 1191—1194; შეად. ავალიშვილის საქართველოს რუსეთთან შეერთება გვ. 220).

ზედმეტად მიგვაჩნია რამე განმარტება გავუკეთოთ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებას. ეს უკანასკნელი საკმაოდ ნათელ ჰყოფს საქართველოსადმი მიმართულ პოლიტიკას რუსეთისას. მასში ჩამარხულია მთელი პროგრამმა აღმოსავლეთის საკითხისა. გარდა ამისა, ეს დამამტკიცებელია მისი, რომ სახელმწიფო პოლიტიკა უსამართლობის წინაშე არასოდეს არ შეჩერდება, მას აქვს მხოლოდ უტილიტარული მიზნები და არავითარი სენტიმენტალობა მან არ იცის. ალექსანდრე პირველი, როგორც ვსთქვით, საქართველოს შემოერთების საკითხმა შეაფიქრიანა, მან მასში უსამართლობა დაინახა და, როგორც ჰუმანისტმა მონარქმა, არ იკადრა საქართველოს ტახტის კანონიერ მემკვიდრეების უფლებას შეხებოდა. აქ მას ამოქმედებდა უფრო პირადი რწმენა, ვიდრე სახელმწიფოებრივი ინტერესები. სულ წინააღმდეგ მოქმედობს სახელმწიფო საბჭო. იგი, მიუხედავად მონარქის ნებაყოფლობისა, კატეგორიულად სწყვეტს შემოიერთოს საქართველო. ხოლო, როგორ შემოიერთოს, რა პირობებით, იქნება ეს სამართლიანი, თუ უსამართლო ან იურიდიულად ან და სახელმწიფო მორალის თვალსაზრისით, ამ კითხვებზედ სახელმწიფო საბჭოს ფიქრიც კი არ სჭირდება. პირველ შეხედვით გაუგებარია ამნაირი უთანხმოება მონარქსა და მის საბჭოს შორის. გვაკვირვებს აგრეთვე საბჭოს აჩქარება, რომელიც გამოიჩინა მან საკითხის გადაწყვეტაში. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ სახელმწიფო საბჭო სხვაფრივ ვერ მოიქცეოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ბიზანტიის დამხობის და მის ნანგრევებზედ ოტომანთა იმპერიის დამკვიდრების შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ აღმოსავლეთს და პირველ საფეხურზედ აქ ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენის მოპოვებას სცდილობენ. მეთვრამეტე საუკუნიდან კი იგინი გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ პოლიტიკურ სწორძალოვნობის დაცვას მცირესა და წინა-აზიებში. აი ეს უნებური გადახლართვა რუსეთის და ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ინტერესებისა შეადგენს იმ კვანძს, იმ ამოცანას, რომელსაც რუსეთის ისტორიაში აღმოსავლეთის საკითხი ეწოდება (შეად. Жигаревъ „Русская политика въ восточномъ вопросѣ“, გვერდი 40). ეს საკითხი უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ინგლისი დამკვიდრდა ინდოეთში და აზია-ევროპის ვაჭრობის გეგემონია მის ხელში გადავიდა. რუსეთს თუ ჰსურდა ევროპიულ სახელმწიფოდ გადაქცევა, უეჭველად უნდა ჩარეულიყო ამ ვაჭრობაში და აქტიური მონაწილეობა მიეღო. გარდა გაევროპიელების სურვილისა რუსეთს ამოქმედებდა თავისი პირდაპირი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, რადგან იგი თავის საზღვრებით აზიას უახლოვდებოდა და თავის მრეწველობის საუკეთესო ბაზარს აქვე ჰპოვებდა, ვიდრე ევროპაში. აზიაში დამკვიდრება და მის საქმეებში ჩარევა რუსეთს მხოლოდ ერთის გზით შეეძლო. ეს იყო წინა აზია და ირანის მიდამოები, სადაც მდებარეობდა იმ დროს საკმაოდ ძლიერი სპარსეთი. ირან-სპარსეთის ასეთი დიდი სავაჭრო და სტრატეგიული მნიშვნელობა აღიარებულ იქმნა თვით ნაპოლეონის მიერ, რომელმაც ინგლისთან საბრძოლველ საშუალებად უკანასკნელის ინდოეთში დამარცხება სცნო. ინდოეთში გალაშქრება კი შეიძლებოდა მხოლოდ სპარსეთით; მხოლოდ ამ უკანასკნელის საშუალებით შეეძლო ნაპოლეონს რაიმე გავლენა მოეპოვებინა აზიის საქმეებში. ამ პოლიტიკურ მისიის აღსასრულებლად მან გაგზავნა თავისი რწმუნებული ჟობერი ძვირფას საჩუქრებით და ფეთალი-შახს კავშირი შესთავაზა. წინა აზიის და კერძოთ სპარსეთის დიდი მნიშვნელობა აზიის საქმეებში გასაბატონებლად კარგათ ესმოდათ რუსეთის პოლიტიკოსებსაც, მათვე გათვალისწინებული ჰქონდათ ისიც, რომ წინა აზიაში ფეხის მოკიდება მხოლოდ საქართველოს საშუალებით შეიძლებოდა. ეხლა კი ჩვენთვის გასაგებია ის აჩქარებული მოქმედება, რომელიც სახელმწიფო საბჭომ გამოიჩინა იმპერიასთან საქართველოს შეერთების საკითხის გადაწყვეტაში.

თ. ბეგიაშვილი.

(დასასრული იქნება)

ამხანაგთაგან არჩეულ იქმნა მღ. მ. ელიზბარაშვილი. კრებამ იქონია მსჯელობა იმაზედ, რომ მეტი ყურადღება მიექცეს მოწაფეთა ყოფაქცევას სასწავლებლის გარედ; გადასწყვიტა მოწაფეთათვის იმართებოდეს სასწავლებელში, თანახმად მზრუნველის წინადადებისა, ცხელი საუზმე და დაადგინა ეთხოვოს სადაც ჯერ-არს, რომ ქართული ენა სასწავლებელში იქმნას აღიარებული სავალდებულოდ, ხოლო ქართული ენის მასწავლებელი გათანასწორებული იყოს სამსახურის მხრივ სხვა მასწავლებლებთან. გარდა ამისა კრებამ დაადგინა თითო მანეთი გადაახდევინოს მოწაფეთა ყველა მშობელს, როგორც საწევრო ფული, სახსრის გასაძლიერებლად და ახლო მომავალში გამართოს რაიმე გასართობი იმავე მიზნით.

ომში

(მოკლულნი, დაჭრილნი და დაჯილდოვებულნი)

დაჯილდოვებულ იქმნენ: წმ. ანას მე-4 ხარ. ჯვრით, წარწერით „სიმამაცისათვის“ თურქესტანის მსროლელ პოლკის პრაპ. **პეტრე კახრაძე**; წმ. სტანისლავის 3 ხარ. ჯვრითა ხმლითა და ბანტით—იმავე პოლკის პრაპორშჩიკი თავადი **პროკოფი შელია**; წმ. სტანისლავის მე-2 ხარ. ჯვრითა ერზრუმის საციხე საარტილერიო პოლკის შტაბს-კაპიტანი **ალექს. ბუტულაშვილი.**

ეკონომიური ცხოვრება

რუსეთის სესხი ამერიკაში. რუსეთმა უკანასკნელი სესხი აიღო ამერიკაში 1 დეკემბერს 1916 წ. ვალად აღებული იქმნა 50 მილიონი დოლარი ხუთი წლის ვადით. სარგებელი ამ ვალზე უჭრის საერთოდ 5 წელს $6\frac{3}{4}\%$.

—

მელიორაცია რუსეთში. ამ ომის დროს სხვა სახელმწიფოები დიდს ყურადღებას აქცევენ სასოფლო მეურნეობის გაფართოებას და გაუმჯობესობას. რუსეთში კი ამ ომის დროს მეტად შემცირდა მთავრობის მზრუნველობა მეურნეობაზე და სამელიორაციო კრედიტმაც მეტად მოიკლო. ამჟამად სახელმწიფო სათათბიროში შეტანილია პროექტი სამელიორაციო კრედიტის რეორგანიზაციისა. ამ პროექტით კრედიტის მიცემა უნდა გაფართოვდეს. მიეცემა სესხი მეურნეობის გაუმჯობესობისათვის: სარწყავების და არხების გასაყვანად, ჭაობების დასაშრობად, მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად, ადგილის გასაწმენდათ, ტყის დასათესად, მერძეობისათვის, მეჯოგეობისათვის, მეღვინეობისა და სხვა და სხვა სამეურნეო მრეწველობის შესაქმნელად.

—

რუსეთის რკინის გზების შემოსავალი გასულ წელს გაცილებით მეტი იყო წინანდელზე. დაახლოვებით რკინის გზებს 1916 წ. 100 მილიონით მეტი შემოსავალი ჰქონდა.

—

სომხურ-ამერიკული ბანკი. რუსეთისა და ამერიკის სომხებს დიდი კომერციული ბანკის დაარსება განუზრახავთ. ბანკის თანხას 150 მილიონი შეადგენს. ბანკის უმთავრესი გამგეობა პეტროგრადში იქნება, მხოლოდ განყოფილებები კი რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში. ბანკის მეთაურები, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ამიერ კავკასიას, სადაც ისინი ჰფიქრობენ კავკასიელ სომხების ეკონომიურ ძალების შეკავშირებას და მათი შემწეობით კავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაში ბატონობის გამტკიცებას.

—

უცხოელთა კაპიტალი ბაქოს მრეწველობაში. მთელს მსოფლიოში 16 სინდიკატია ნავთის მრეწველობისა. ამათგან ათს პირდაპირი კავშირი და დამოკიდებულება აქვთ ბაქოს მრეწველობასთან. ამ ომის დროს უცხოელების გავლენა რუსეთის ნავთის საქმეში მცირედ შესუსტდა იმის გამო, რომ ამ მწარმოებლების დამატებითი გამოცემულ აქციების შეძენა ვერ შესძლეს ძველმა აქციონერებმა, რომელნიც მეომარ სახელმწიფოებში იმყოფებიან. ამ გზით ცნობილი ნობელის ამხანაგობის დამატებითი აქციების დიდი ნაწილი რუსეთში დარჩა.

—

სადგილ-მამულო ბანკების ფასიანი ქაღალდების ფასი, უმთავრესად ვალიუტის მდგომარეობის გამო, კიდევ მატულობს, თბილისის სადგილ-მამულო ბანკის ქაღალდები ფასობს 85 $\frac{1}{2}$ მან. ქუთაისის მიხეილის ბანკის 79 მან.

† თამარ უთურგაური

(ნეკროლოგი)

შაბათს, იანვრის 21, არსენალის ქუჩაზე, საკუთარ ბინაზედ წუთი-სოფელს ტრაღიკულად გამოესალმა ქ. თბილისის ოლღას საბებიო ინსტიტუტის მეორე კურსის მსმენელი 17—18 წლის თამარ უთურგაურისა.

მისის გარდაცვალების ამბავმა თავზარი დაგვცა ყველა მის ამხანაგებს. გონიერი და ენერგიით სავსე, განუყრელი მეგობარი იყო ჩვენი, კერძო თუ საზოგადო საქმეში.

მზათ იყო თავისი უკანასკნელი ლუკმაც კი გაეყო თავის ღარიბ მოსწავლე ამხანაგებისათვის.

ორი წელიწადია, რაც თამარ დანიშნული იყო დ. ბ—ზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი დანიშნული ცოლშვილიანი ყოფილა და განსვენებულს მხოლოდ ატყუებდა.

ამ ამბავმა თავზარი დასცა თამარს როგორც ზნეობრივს ადამიანს და 21 იანვარს საწამლავის მსხვერპლი შეიქმნა.

მშვიდათ განისვენე, საყვარელო დაიკო! დღეს შენი ამხანაგები ვსდგევართ შენის ცხედარის წინაშე თვალცრემლიანნი, გულხელ-დაკრეფილნი და დავსტირით დაკარგულს დას. მარად სახსოვარი იქნება ჩვენთვის შენი სახელი და პატივი.

შენი ამხანაგები შენს წმიდა გვამის წინაშე, დაო, ფიცსა ვსდებთ, პასუხი მოვსთხოვოთ, ვინც შენი სიცოცხლე ასე უდროოთ მოგვტაცა. მშვიდობით, დაო, მშვიდობით.

ამხანაგები.

აბო წმინდა

ამ სახელით ქართველები ძველ ნანგრევ ხაყდარს იხსენიებენ ერთ ნასოფლარში, რომელსაც აბო წმინდა ჰქვიან და რომელიც დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე სოფელ ზემო აჩაბეთის (გორის მაზრისა) დასავლეთით მდებარეობს. აქ ოთხმოც, ოთხმოცდაათ წლის წინეთ ნასოფლარი აბო წმინდა დასახლებული ყოფილა, მაგრამ მამულის სიმცირის გამო, აქ მცხოვრებნი მელაძეები, ხაბარლები, კვლინიძეები და სხვანი, მებატონე მაჩაბლებს მაშინდელ ნასოფლარ ძლევისჯვარში გადაუსახლებიათ. აბოწმიდის უძველესი ხატი კი თბილისს მოუსვენებიათ. წმიდა აბოს თავისი მლოცველი მელაძეები, ხაბარლები და კვლინიძეები აღდგომის ორშაბათს უმართევენ ღამის თევას და დღესასწაულობენ მსხვერპლის შეწირვითა და ძველ ეკლესიასთან მოსვლითა და თავიანთ დიდათ მოწყალე წმინდანად სთვლიან. ამ უკანასკნელ ხანს ეკლესიის განახლებასაც კი ეპირებიან თავიანთ ძალღონითა.

თბილისში კი 8 იანვარს წმინდა აბოს დღედ აღიარებენ და ეს წმინდანი თბილისის მფარველ ანგელოზად უწამებიათ. აბოობას წაველ დარიის მონასტერში წირვაზე; ვიცოდი ისიც, რომ ამ მონასტრიდგან ლიტანიით აბოს ნიშისკენ გაემგზავრებოდნენ სამღვდელოება და მლოცავი. თანაც, მსურდა გამეგო, თუ ვინ არიან თბილისში ამ წმინდანის მიმდევრები. ათ საათზე დილით დარიის მონასტერში ვიყავ. წირვა უკვე გამოსულიყო. რამდენიმე რუსის დედაკაციც მოსულიყო. —„რუსულ გაზეთში წავიკითხეთ, რომ დღეს დიდის ამბით ლიტანიით გამოსვლა იქნება აქედან აბოს ნიშისკენაო“,—ამბობდენ ეს რუსები. არაფერი ამბავი ყოფილა. ოთხი ბერი, ერთი მთავარი, რამდენიმე საცოდავათ გამომყურალი, სიცივისაგან აკანკალებული მგალობელი ბიჭები, რომელთაც, თურმე დარიის მონასტერი ინახავს და გალობას ასწავლის ვითარცა მომავალ დიაკვნებს და ჩვენ ხუთიოდ მლოცავი, რუსის დედაკაცებიანათ წმინდა აბოს ნიშისკენ გავემგზავრეთ.

ჩუმათ, როგორც ჩვენ, ისე ბერები შეუმოსავათ ჩვეულებრივ, მგზავრებივით დ. მირიან ბერმა, არმაზელმა, რომელმაც აბოს ხატი გულში ჩახუტვით ქურდულად წამოასვენა, მივედით წმინდა აბოს ნიშთან. იგი მოთავსებულია მეტეხის ციხის ფრიალო კლდის ძირში; კვეხერელი კოპაძის ქარვასლის გვერდით, ორთავ ავლაბრის ხიდებ შუა რომ გზა არსებობს, იქ, წმინდა აბოს ხატი ასვენია, რკინის კარების შიგნით. იქ, ქუჩაში შეიმოსნენ ბერები, დაიწყეს პარაკლისის გადახდა. აგალობდნენ სიცივისაგან აკანკალებული მგალობლები; სამთლის გამყიდავი ბიჭის ცოდვით დავიწვით, ისე კანკალებდა სიცივისაგან, როგორც ღონიერი ციების დროს ავათმყოფი. ტანზე გახეხილს ზაფხულის პალტოს მეტი არა ეცვა-რა, გარდა ძველ შავ სატინის პერანგისა. გამვლელ-გამომვლელი ხედავდნენ ამ უცხო და იშვიათ სანახაობას და უნებლიეთ ჩერდებოდნენ. განურჩევლად სარწმუნოებისა, სამთლებს ყიდულობდნენ, უნთებდნენ წმინდა აბოს ხატს. თითქმის ყველანი კითხულობდნენ, რა ამბავიაო. სხვათა შორის ერთმა კოპწიათ გამოწყობილმა სომხის ქალმაც დაჟინებით იკითხა, რა წმინდანი არისო ყველა სდუმდა, ის ქალი კი დაჟინებით კითხულობდა, იღბალზე ერთი ათი თერთმეტის წლის სომხის ბიჭი გაჩნდა და იმან უამბო: „ეს წმინდა აბო თათარი იყო, ხელოსანი, ფინაჩი. აი იმისთანა, გვერდზე რო ზიანო, ქრისტეს რჯული მიიღო, მერე თათრებმა სცემეს, აიღეს და ამ ავლაბრის ხიდიდგან, მტკვარში გადააგდეს, არ დაიხრჩო, გამოვიდა, მერე კიდევ გადააგდეს, კიდევ გამოვიდა, დასჭრეს ასჯერ და ისე გადაყარეს, წყალმა არ წაიღო, ატრიალა, ატრიალა ერთ ალაგას, არ დამალა, მერე ის ნაჭრები გამოიტანეს და ხატები გააკეთეს“. ეს ბიჭი ისე დარწმუნებული ლაპარაკობდა, გეგონებოდათ თავის თვალით უნახავსო. ცნობის მოყვარე მკითხველმა ქალმა შენიშნა; „მერე, შენა ნახეო“-ო?—„არა მე არ მინახავს, ესე გამიგონიაო... ქალმა სამთელი იყიდა, დაანთო, პარაკლისი ბოლომდის მოისმინეს. რუსის ქალებმა კი საყვედური განაცხადეს: „კრესტი ხოდი“ უნდა ყოფილიყოო. გაზეთში იყო და ვინც აგებს პასუხს მოტყუებისათვის, ვნახოთო“,—წავიდნენ მუქარით.

მიკვირს ჩვენის ავტოკეფალიის მოტრფიალე მოღვაწეებისაგან, რატო ესე ყურწაგდებულები არიან, რომ ქართველ წმინდანებს ლიტანიას არ უმართევენ, რომ ამითი, ცოტა მაინც, ელფერი მისცენ ჩვენ სარწმუნოებას და საკუთარ წმიდათა პატივისცემას. მიკვირს, რატომ ან სიტყვით, ან პატარა წიგნაკებით ქართველ წმინდანების ცხოვრებას არ გააცნობენ მორწმუნეთ, რომელთაც აგრე სურთ გაგება მათის მოღვაწეობისა და ვიღაც ბიჭ-ბუჭებს ალაპარაკებენ და აბუჩად აგდებინებენ ქართველთ სათაყვანებელ წმინდანებს.

ალ. მ—ლი.

წერილი ზესტაფონიდან

არ იქნა სიმინდის მოტანას არა ეშველა-რა: ხალხი მუდამ დღე ჰკითხულობს სარჩოს, მაგრამ მიმწოდებელი არავინაა; ამავე დროს კი შაქარი რამდენიც გინდათ, იმდენია. ერთ ერთ კოოპერატივს მოეტანა ამას წინეთ შაქარი, ღვინის წებო და პურის ფქვილი. ხალხი კი გაიძახოდა: სიმინდი მოგვიტანეთ, შაქარი რად გვინდაო! პურის ფქვილს სოფლელებს აგრე რიგად არ აძლევდენ, თუ აძლევდენ, ისევ შავ პურის ფქვილს, თეთრი ფქვილი მოხელე-ამხანაგებისთვის იყო.

რა-კი კოოპერატივზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა ვსთქვათ, ამ მხრივ ზესტაფონს ბედი უღიმის: დიდი ხანი არაა, რაც გამოიჩეკა მესამეც. მონათლეს ეს კოოპერატივი „განმანაწილებელი“-ს სახელით.

აქაურმა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ ორ გზის სთხოვა ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორს მიეცა მისთვის 1 მარშრუტის მატარებელი სიმინდის მოსატანად, მაგრამ თხოვნა არ შეიწყნარეს.

სიმშილი, თუ რამენაირად დროით არ იქმნა ღონისძიება მიღებული, უმწვერვალეს ხარისხამდე ავა, დამშეულების დრტვინვას, საყვედურს, რისხვას ვერავინ გადაურჩება და ვინ იცის, რა მოგველის. დღეს რომ ასეა, შემდეგში რა იქნება. მეორე მოსავლამდე შორსაა, მუშა ან სათესლე სადღა იქნება მერე?

ჯარის კაცებით გაივსო აქაურობა, რაც ცარიელი სახლი და დუქანი იყო სულ იმათ დაიკავეს.

სახადი, ყვავილი, ყელ-ჭირვება გავრცელდა აქეთკენ.

10 თებერვლისათვის წ.-კ. გ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება დიდ საღამოს ჰმართავს აკაკის სახელობის სახლის ფონდის გასაძლიერებლად. ნინოობა წელს დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ვეღარ გადაიხადეს.

19 ოქტომბერს აქეთ შუამდგომლობაა აღძრული საქალებო გიმნაზიის გახსნის თაობაზე საქალაქო სკოლასთან და დღესაც არაა ჯერ ნებართვა მოსული; ნეტავი რა უშლის ხელს? ყოველივე ცნობები, რაც საჭირო იყო, წარდგენილია; არის სახლი, არიან შესვლის მთხოვნელი მოწაფეები და მასწავლებლები. იმედია ბ. მზრუნველი ახლა მაინც იზრუნებს ამ საქმისათვის და დააბოლავებს რამენაირად.

ეფრემ მცირე.

არტაანის ქართველი-მაჰმადიანები

(გაგრძელება)

სოფელ რაბათში 32 კომლი ქართველი-მაჰმადიანები არიან, ყველანი ერთი გვარიდან მომდინარეობენ, ზოგი მათგანი იძახის—თარხანიშვილები ვართო, ზოგიც ამბობენ—ხახალიშვილიო; ნამდვილად თავიანთი გვარი არ იციან. მოსულან სოფელ კაკაშენი და ხიზაბავრიდან, დღესაც არიან იქ ჩვენი გვარისანიო.

1) **ხ. გუგუბა.** ფაშა მოლლა ისმაილ ოღლი 23 წლისაა, ერთი ვაჟი ჰყავს, 2 წლისაა, მდიდარია. თავს ქართველადა სცნობს.

2) ფაშას ძმა—ბალა-ბეგი 27 წლისაა, ცოლიანია. ორი ვაჟი ჰყავს, უფროსი 7 წლისაა, უმცროსი 2-სა. უფროსს აძლევს სკოლაში. თავს ქართველად გრძნობს.

3) მისი ძმები ჰაჯი 17 წლისაა. უცოლოა, ბალა-ბეგთან ცხოვრობს. შეძლებულები არიან.

4) გასან გაჯი ემინ-ოღლი 60 წლისაა, სამი ვაჟი ყავს. ისა 28 წლისაა, ხალილ 22-სა და უმცროსი 14 წლისაა. სკოლაში აძლევენ. ისას ერთი ვაჟი ყავს ერთი წლისაა, ხალილს 1 გოგო 3 წლისაა, ყველანი ერთად ცხოვრობენ, შეძლებულნი არიან.

5) ოსმან გუსეინ-ოღლი 65 წლისაა, სამი ვაჟი ყავს: ომარი 35 წლისაა, ოსმანი 25 წლისაა და იუნუსი 18-სა. ომარს ორი ვაჟი და ერთი ქალი ყავს, ვაჟი ხუთი წლისაა. უმცროსი სამისა, ქალი 8 წლისაა, სკოლაში არ აძლევს. ოსმანს კი ერთი ვაჟი ყავს სამი წლისა.

6) სულეიმან გაჯი ასლან ოღლი 50 წლისაა, ორი ვაჟი და ორი ქალი ყავს. ვაჟები: დალაბრა 5 წლისა, უმცროსი 1-სა და უფროსი ქალი 8 წლისაა, უმცროსი 6-სა, ცოტათი ღარიბია (სოფლის სტაროსტაა), სკოლაში შვილებს არ აძლევს.

7) ისა ისკანდერ-ოღლი 45 წლისაა, სამი ვაჟი და ერთი ქალი ყავს. უფროსი ვაჟი 20 წლისაა, მეორე 15-სა და მესამე 4-სა, ქალი სამი წლისაა. ღარიბათ არის. ფულით დახმარება საჭირო არ არის.

8) მაჰომედ ალი-ოღლი 50 წლისაა, ერთი ვაჟი და ერთიც ქალი ყავს, ვაჟი 5 წლისაა, ქალი შვიდისა. სკოლაში არ აძლევს. დახმარება საჭირო არ არის. მაჰომედს ორი ძმა ყავს, უსუფი 40 წლისაა, ტაშტან 35-სა. უსუფას ორი ვაჟი და ერთი ქალი ყავს. უფროსი ვაჟი 20 წლისაა, უმცროსი 4-სა. ქალი 6 წლისაა. ტაშტანს ერთი ვაჟი ყავს 5 წლისაა. ყველანი ერთად ცხოვრობენ.

9) აბდულა იბრაგიმ-ოღლი 36 წლისაა, ორი ქალი ყავს, უფროსი სამი წლისაა, უმცროსი 1-სა. შემწეობა საჭირო არ არის.

10) გამიდ მოლლა იბრაგიმ-ოღლი 39 წლისაა, ერთი ვაჟი და ორი ქალი ყავს. ვაჟი 7 წლისაა, ქალები ერთი 6 წლისაა, მეორე 2-სა. ძმა გამიდისა გალეი 15 წლისაა. მამა არა ჰყავს, დედა კი ცხოვრობს ბიძასთან. ბიძამ გალეის სკოლაში მიცემაზე სურვილი განაცხადა.

11) გაჯი ალი ალლახ სულეიმან-ოღლი 76 წლისაა, ოთხი ვაჟი ჰყავს. ქიარიმ 40 წლისაა, დისაია ამირხან 32-სა, მირზა 28-სა და მიქეილი 17-სა. ქიარიმს ერთი ვაჟი და ორიც ქალი ჰყავს, ვაჟი 4 წლისაა, ქალი 6-სა. ამირხანს ერთი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს, ვაჟი 3 წლისაა, ქალი ორისა. ყველანი ერთად ცხოვრობენ. შემწეობის აღმოჩენა საჭირო არ არის.

12) ახმედ თახი-ოღლი 14 წლისაა (ობოლია), დედასთან ცხოვრობს. ახმეტას ერთი და ჰყავს 5 წლისა. შემწეობის აღმოჩენა საჭირო არ არის.

13) რასულ ისკანდერ-ოღლი 55 წლისაა, სამი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს. ქიამილი 28 წლისაა, ფაშა 25-სა, ისკანდერი 10-სა. ქალი 7 წლისაა. ქიამილს ერთი ვაჟი ჰყავს, 4 წლისაა, ფაშას ერთი გოგო ჰყავს, 2 წლისაა. ისკანდერს სკოლაში აძლევენ. ყველანი ერთად ცხოვრობენ. შეძლებულად არიან.

14) ალა-მამად ორუჯი-ოღლი 35 წლისაა, ორი ვაჟი და სამი ქალი ჰყავს. ვაჟები, ერთი 12 წლისაა, მეორე 5-სა, ქალები, ერთი 8 წლისაა, მეორე 6-სა, მესამე 2-სა. უფროსს ვაჟს სკოლაში აძლევს. შეძლებულად არის.

15) გაჯი ასლან დადა-ოღლი 80 წლისაა, ქართულს კარგათ ლაპარაკობს. ერთი ვაჟი—გუზეინი და ერთიც ქალი ჰყავს. გუსეინი, 45 წლისაა, გოგო 6-სა, ღარიბია, ცოტაოდენი შემწეობა აუცილებელია.

16) ისკანდერ ასკიარ ოღლი, 65 წლისაა, 3 ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს. ალი 18 წლისაა, გუსეინი 13 და ალაშრაფი 10-სა, ქალი 8 წლისაა. ორივე შვილებს აძლევს სკოლაში, ქალს არა. ცოტათი შეძლება აქვს

17) შენიკ ისკანდერ ოღლი, 35 წლისაა, ერთი ვაჟი და 3 ქალი ჰყავს. ვაჟი პირველი 6 წლისაა, ქალი ერთი 12 წლისა, მეორე 4-სა და მესამე 2-სა. სკოლაში არ აძლევს შეძლებულია.

18) სულეიმან ისკანდერ ოღლი, 65 წლისაა, ორი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს. ისმაილი 36 წლისაა, უმცროსი 28-სა (ორი თვალით ბრმაა, ქალები უფროსი 14 წლისაა, მეორე 12-სა. ისმაილს ერთი ვაჟი ჰყავს, 2 წლისაა. შეძლებულად არის.

19) ფაშაგაჯი იდრის ოღლი, 55 წლისაა, ერთი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს. თორან 15 წლისაა, ქალი 12-სა. სკოლაში არ აძლევს. შეძლებულია.

20) შენიკ ისმაილ ოღლი, 46 წლისაა, ძმები მისი: მუსა 40 წლისაა, ისა 18-სა. შენიკს 5 ვაჟი ჰყავს: ქიამილი 18 წლისაა, აზი 12-სა, მესამე 10 სა, მეოთხე 8-სა და მეხუთე 5-სა. ისა უცოლოა. შენიკი შვილებს სკოლაში აძლევს. შეძლებულად არიან.

21) გასან დადა ოღლი, 70 წლისაა, ორი ვაჟი ჰყავს: ედიგარი 35 წლისაა, იბრაგიმი 22 სა. ედიგარს ერთი ვაჟი ჰყავს 12-სა. იბრაგიმი უცოლოა. შვილს სკოლაში აძლევს. შეძლებულია.

22) მუსთაფა დადა ოღლი, 60 წლისაა, სამი ვაჟი ჰყავს, გადიმი 24 წლისაა, გაჯი 15-სა და მესამე 2-სა. შეძლებულია.

23) დადა გაჯი იდრის ოღლი, 65 წლისაა, ორი ვაჟი ჰყავს: ტაშთან 28 წლისაა, სარი 25-სა, ორივე უცოლონი არიან. ღარიბათაა.

24) ურუშან ალი შან ოღლი, 27 წლისაა, ორი ძმა ჰყავს: ბინალი 15 წლისაა, ალიხანი 7-სა. ურუშანს ორი ქალი ჰყავს, ერთი 6 წლისაა, მეორე 3-სა. ძმებს სკოლაში აძლევს. ღარიბია, საჭიროა დახმარება.

25) ასლან მუსთაფა ოღლი, 45 წლისაა, ორი ვაჟი ჰყავს, ტყუპებია, 15 წლისანი არიან. ორივეს სკოლაში აძლევს. შეძლებულია.

26) მოლა ისა ოღლი, 90 წლისაა, **ქართულს კარგად ლაპარაკობს**, ხუთი ვაჟი ჰყავს: დურსუნი 40 წლისაა, ფაშა 35-სა, კიამბარი 25-სა, ბიაქარ 12-სა, სალაი 10-სა და ოსმანი 8-სა. 15 ძროხა და ხარი ჰყავს, უღელი კამეჩი, სახლი კარგად აქვს მორთული. მასვე სამი ქალი ჰყავს. ემინა 14 წლისაა, ბალახანა 9-სა და შაჰრი 4-სა. ბიჭარს და ოსმანს აძლევს სკოლაში. ქართველად თავს არა სცნობს, თუმც ოდესღაც მათი ძველები ქართველი ყოფილა.

27) მელიქ მუსა ოღლი, 35 წლისაა, სამი ძმა ჰყავს: იონისი 25 წლისაა, კეისა 15-სა და აბდულა 10-სა. მელიქს ერთი ვაჟი ჰყავს, 5 წლისაა, ძმას აბდულს სკოლაში აძლევს. ცოტაოდენი შეძლება აქვს.

28) გუსეინი სულეიმან ოღლი, 25 წლისა, ერთი ვაჟი ჰყავს, 4 წლისაა. ცოტაოდენი შემწეობა საჭირო.

29) გუსეინი იბრაგიმ ოღლი, 45 წლისაა, ერთი ვაჟი და ორიც ქალი ჰყავს. ვაჟი 11 წლისაა, ქალები: ერთი 14-სა, მეორე 8 წლისაა. ვაჟს აძლევს სკოლაში, ქალებს არა. ღარიბათ არის. შემწეობა საჭირო.

30) სულეიმანი ადიგეზალი ოღლი, 50 წლისაა, ერთი ვაჟი ჰყავს, 25 წლისაა, ბინიალი. ბინიალს ერთი ქალი ჰყავს, 6 წლისაა. ცოტაოდენი შემწეობა საჭირო.

სოფ. კურტყალა. დადა ბეგი ორბელიანი, 60 წლისაა, ქართული არ იცის. თავს ნამდვილ ქართველადა სცნობს. ამბობს: ნათესავია ჩემი გენერალი ვანო ორბელიანი, ხშირად ვნახულობდი ომამდეო. სამი ვაჟი ჰყავს და ერთიც ქალი. შაით ბეგი 35 წლისაა, გამიდ ბეგი 25-სა, მამედ ბეგი 20-სა, ქალი 28 წლისა (გაუთხოვარია). შეით ბეგს ერთი ვაჟი ჰყავს, ერთი წლისაა. დანარჩენები უცოლონი არიან. ძლიერ ღარიბად არის, რადგანაც სახლები ყაზახებმა დაუნგრიეს და მთელი მისი ქონება სომხებმა და ბერძნებმა დაიტაცეს. თვით დადა ბეგი რუსის ჯარის ს. ზორზუნაში ყოფნისა (ქ. ცხოვრობდა დადა ბეგი) ყაზახ [illegible] და სომხებმა სცემეს ჩალდირის ნაწილის უფროს ზამანოპულოს დასწრებით, რომლის გამო დღესაც ლოგინათაა ჩავარდნილი, ფეხზე ველარა დგება, დამბლა დანაცემივითაა ლოგინში. ყოველთვიურ დასახმარებლად 40 მანეთს უგზავნის ახალქალაქელი მამად ალი ბეგი ფალავანდიშვილი. შვილები ყველანი ლაპარაკობენ რუსულად, წერა-კითხვაც იციან რუსულად, ქართულად არაფერი. დადა ბეგის სათიბი ნაწილის უფროსს ძალით მოუთიბავს, თივა 2000 მანეთად გაუყიდნია და დადაბეგისათვის ოცი თუმანი მიუგდია. საჭიროა ასეთ ძალადობას ყურადღება მიექცეს.

კ. ოდიშარია.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ბ-ნს კოტე თადეოზის ძეს ფირცხელაურს

1915 წ. ნოემბერში თბილისში დაარსდა მეუნაგირეთა ამხანაგობა, რომელსაც უნდა აეღო ყოველგვარი სამხედრო სამუშაო, რაც მეუნაგირეთა ხელობას შეეხებოდა. ამხანაგობამ ნატარიალური ხელშეკრულება ერთის წლით დასდო. პასუხის მგებელ თავმჯდომარედ აირჩიეს კოტე თ. ფირცხელაური. საიჯარო საქმეთა აღება და ფულის მიღება-გაცემა ფირცხელაურის ხელში იყო. ჩემდა საბედისწეროთ მეც გავხდი ამ ამხანაგობის წევრად. თითეულ ამხანაგს ასი თუმანი საწევრო ფული გვქონდა. და მოგებაც თითეულს უნდა გვრგებოდა არა ნაკლებ 1,400 მანეთისა. ამხანაგობამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და მარიამობისთვის პირველ რიცხვებში დაიშალა და ყველამ თავთავის ხვედრი გაიტანა. მე იმ დროს, რადგანაც ავათ ვიყავი, ვერ დავესწარი და ჩემ ხვედრ 1,300 მანეთიდან, რომელიც ფირცხელაურს უნდა ჰქონოდა, დავთრით მომცეს მხოლოდ 400 მან. როდესაც მოვსთხოვე, ღირსეული პასუხიც ვერ მივიღე. ამიტომ ამხანაგობის თავმჯდომარეს საამხანაგო სასამართლოში ვიწვევ დღეიდან ათ დღის ვადაში. მოსამართლეებად ჩემის მხრით ვნიშნავ პლატონ კახიძეს და ს. ელიავას. ან დამაკმაყოფილეთ იმ ფულებიდან, რომელიც ამხანაგებმა გადასდვეს სახაზინო ბაჟისთვის ან დაასახელეთ თქვენის მხრით მედიატორები. და თუ ამაზე არ დამეთანხმებით, მაშინ უფლება მეძლევა ყოველივე კანონიერ ზომებს მივმართო.

კოწია ნ. ჩაჩავა.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.18	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.33	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6 24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზმით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ **ხიზილალა**. მიეილეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები **რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4